პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 43-ე წელი № 78 (12590) | სამშაბათი, 2 აპრილი, 1963 წ. | ფასი 2 კაპ.

პირველ მაისს — ღირსეული შეხვედრა!

საწარმოო ფართობიდან — პროდუქციის მაქსიმუმი!

კომუნისტური პარტია მშრომელთა აქტივობას წარმართავს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის შემდგომი მძლავრი აღმავლობის უზრუნველყოფისათვის, ხალხის კეთილდღეობის მკვეთრი გაუმჯობესებისათვის. პარტიის XXII ყრილობამ და სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმმა მიიღეს უმნიშვნელოვანესი გადწყვეტილებანი, რომელთა განხორციელება უზრუნველყოფს ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მომზადებას.

ამ დიდი და ნათელი ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის ხალხსო მეურნეობის ყველა უბანზე სულ უფრო ფართოდ ვლინდება შემოქმედებითი ინიციატივა, რაც ხელს უწყობს წარმოების შინაგანი რეზერვების მობილიზაციას.

შვიდწლედის მეხუთე წლის პირველ დღეებში ჩვენი დიადი ქვეყნის მოწინავე საწარმოებში დაიწყო პატრიოტული მოძრაობა არსებულ საწარმოო ფართობზე „პროდუქციის გამოშვების გადიდებისათვის, რენტაბელური მუშაობისათვის. ამ წამოწყებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს საწარმოო გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის ბრძოლაში.

საწარმოო ფართობის სრულად გამოყენების საქმეში უდიდესი მნიშვნელობა აქვს ტექნიკურ პროგრესს, შრომატევადი პროცესების მექანიზაციას, იმ საწარმოებში, სადაც გადიდულად ნერგავენ ავტომატიზაციას. ახორციელებენ ხელის ოპერაციების მექანიზაციას, შრომის ნაყოფიერება განუწყვეტლივ იზრდება, პროდუქციის თვითღირებულება მცირდება და ნაკეთობის ხარისხი უმჯობესდება.

1963 წელს გათვალისწინებულია რესპუბლიკის საწარმოებში საერთო პროდუქციის გამოშვება გაიზარდოს 6,6 პროცენტით.

ეს ზრდა ძირითადად უნდა მოხდეს არსებულ საწარმოო ფართობზე პროდუქციის გამოშვების გადიდებით.

ყოველ ერთ კვადრატულ მეტრ საწარმოო ფართობზე პროდუქციის გამოშვების გადიდების საუკეთესო მაგალითებს იძლევიან ჩვენი რესპუბლიკის მოწინავე საწარმოთა კოლექტივები. მაგალითად, თბილისის კიროვიანური კომბინატის კოლექტივს მიმდინარე წელს იმავე საწარმოო ფართობზე დავალება მიეცა 12 პროცენტით გაადიდოს პროდუქციის გამოშვება. წარმოების კოლექტივი ტექნიკური პროგრესის გზით, ახალი ტექნიკისა და გაუმჯობესებული ტექნოლოგიის დანერგვით, წარმატებით ასრულებს გადიდებულ დავალებას. საწარმოს კოლექტივმა პირველი კვარტალის გეგმა ვადამდე გაანაღდა და ორ თვეში გეგმის გადამეტებით გამოუშვა 2.814 კვადრატული მეტრი მოსაპირკეთებელი ფილები და 705 ცალზე მეტი ნახევრადფაიფურის სანტექნიკური მოწყობილობა. გეგმის შესრულებასთან ერთად გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულება ექვსი ათასი მანეთით შემცირა.

მრეწველობის ყველა დარგის საწარმოებში გაიზარდა წარმოების ათასობით ნოვატორი და მოწინავე, რომლებიც მუშაობის საუკეთესო ნიმუშებს იძლევიან, უნარიანად იყენებენ ტექნიკას. მათი შრომა ხალხისათვის პატრიოტული სამსახურის მაგალითია, მათი გამოცდილება ფართოდ უნდა გავრცელდეს, უნდა გადაიქცეს ყველა მუშაკის შრომითი საქმიანობის საფუძვლად. ეს არის საერთო წარმატების, შრომის ნაყოფიერების შემდგომი აღმავლობის და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების სწორი გზა.

მაგრამ წარმოების ნოვატორებისა და მოწინავეთა პროგრესულ წამოწყებას მუდამ აქტიურად როდი უჭერენ მხარს ზოგიერთი სამეურნეო ხელმძღვანელები და პარტიული ორგანიზაციები. ეს რომ ასეა, ამაზე ნათლად მეტყველებს თბილისის მაუდკამოლის კომბინატის მიმდინარე წლის ორი თვის მუშაობის შედეგები.

საწარმოს კოლექტივმა ნაცვლად იმისა, რომ გაედიდებინა ყოველ მეტრ საწარმოო ფართობზე პროდუქციის გამოშვება, შეამცირა იგი. საქსოვი დაზგების მოცდენამ 16 პროცენტს მიაღწია, გეგმით კი 7,5 პროცენტი იყო გათვალისწინებული. ამან გამოიწვია ის, რომ ორ თვეში სამშობლოს დააკლეს რამდენიმე ათეული ათასი მეტრი შალის ქსოვილები.

სოციალისტური მრეწველობა ფართოვდება, ვითარდება, სულ უფრო მძლავრი და ტექნიკურად სრულყოფილი ხდება. ახლა მთავარია საწარმოებში არსებული რეზერვები გადავიცოთ სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობისა და ჩვენი სამშობლოს მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესების მძლავრ წყაროდ.

ტემპი, ხარისხი — მხვნელ-მთესველებო!

„მინდვრის დედოფალი" — ასოგით ჰექტარზე

სიღნაღი. (სპეც. კორ.). ჯერ მზე არ ამოსულა, რაიონის საკოლმეურნეო მინდრებში კი უკვე გაჩაღებულია შრომა. ითესება სიმინდი, ბარდა და სხვა საგაზაფხულო კულტურები. სოფელ ტიბაანის კოლმეურნეობაში წელს სამარცვლედ სიმინდს 400 ჰექტარზე თესავენ. საშუალოდ ჰექტარზე 60 ცენტნერი სიმინდის მოღებას ვარაუდობენ. უკვე შეუდგნენ სიტყვის შესრულებას. ტრაქტორისტმა რ. გურაშვილმა კოლმეურნეობაში პირველმა ააგუგუნა მანქანა და ხნულს მიაბარა „მინდვრის დედოფალი". ამხ. გურაშვილს გადაწყვეტილი აქვს ხელის შრომის გამოუყენებლად საშუალოდ ჰექტარზე მიიღოს 60 ცენტნერი სიმინდი. მან გუშინ თესვის ნორმა 150 პროცენტით შეასრულა.

მექანიზატორები — სტარტზე

ყვარელი. (სპეც. კორ.). ყვარლელმა მხვნელ-მთესველებმა საგაზაფხულო კულტურების თესვა გააჩაღეს. დილიდან გვიან ღამამდე გუგუნებენ მინდვრად ტრაქტორები. მექანიზატორები თავდადებით შრომობენ საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა სასახელოდ შესრულებისათვის.

საწარმოო სამმართველოს კოლმეურნეობებში უკვე დათესილია 1.727 ჰექტარი საგაზაფხულო კულტურები, აქედან 691 ჰექტარი სამარცვლე ბარდა ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 600 ჰექტარისა. მწვანე საკვებად დაითესა 205 ჰექტარი ბარდა, 376 ჰექტარი საკვები ძირხვენები. შესრულებულია კარტოფილის თესვის გეგმა.

როგორც კი თბილი დღეები დადგა, მექანიზატორები შეუდგნენ სიმინდის თესვას. დათესილია პირველი 160 ჰექტარზე მეტი სიმინდი. სოფელ ჭაბუკიანის ჭავჭავაძის სახელობის კოლმეურნეობაში 41 ჰექტარი სიმინდი დაითესა კვადრატულ-ბუდობრივად. არეშფერანის კოლმეურნეობამ დათესა 40 ჰექტარი სიმინდი. აქედან 15 ჰექტარი კვადრატულ-ბუდობრივად არის დათესილი. სიმინდის თესვა გააჩაღეს ჭიკაანის მარქსის სახელობის, ყარსუბნის „პრავდის" სახელობის, ორჯონიკიძის რუსთაველის სახელობის და სხვა კოლმეურნეობებმა.

გუშინ სოფელ ლელიანის ენგელსის სახელობის კოლმეურნეობაში მექანიზატორმა პავლე ჭუმბურიძემ კვადრატულ-ბუდობრივად დათესა 8 ჰექტარი სიმინდი. წარმატებით შრომობს ჭაბუკიანის კოლმეურნეობის სატრაქტორო ბრიგადა, რომელსაც ცნობილი მექანიზატორი ვლადიმერ ყაველაშვილი ხელმძღვანელობს. მას გადაწყვეტილი აქვს წელს კვადრატულ-ბუდობრივად დათესოს 245 ჰექტარი სიმინდი და განახორციელობის კოლმეურნეობაში 41 ჰექტარ-ზე მთლიანი მექანიზაცია.

ტემპი ძლიერდება

დუშეთი. (სპეც. კორ.). უკანასკნელ დღეებში მხვნელ-მთესველებმა მუშაობის ტემპი გააძლიერეს. სოფელ მუხრანის კოლმეურნეობამ რაიონში პირველმა შეასრულა ბარდის თესვის გეგმა.

სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდნენ და სამარცვლედ ბარდის თესვის გეგმა უკვე გაანაღდეს სოფლების ძალისის, საგურამოს, გალავნის, ქსოვრისის კოლმეურნეობებმა და ჩცხეთის მეკვნახეობის საბჭოთა მეურნეობამ.

ამჟამად სამმართველოში შემავალ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ჩქარი ტემპით მიმდინარეობს ბოსტნეულის თესვა და სიმინდის დასათესად ნიადაგის მომზადება. სასიმინდედ 8 ათასი ჰექტარი მიწა მთლიანად მზრალად აქვთ მოხნული.

ტემპი ძლიერდება

ფოთი. (სპეც. კორ.). ფოთის ტრაქტორიტები ივანე გიგოლაშვილი, აბრამ ბენაშვილი, და გივი ყოჩიაშვილი. ისინი სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობაში სიმინდს თესავენ კვადრატულ-ბუდობრივად. თვითეული დღეში თესავს 12-14 ჰექტარს ნაცვლად 10 ჰექტარისა.

სიმინდის თესვა ფართოდ გაჩაღდა სოფელ ზემო ქედის კოლმეურნეობაში. აქ უკვე დათესა 180 ჰექტარი, ხოლო ბოდბის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში — 198 ჰექტარი.

ტემპი ყოველდღე ძლიერდება აგრეთვე სოფლების გამარჯვებისა და მაღაროს კოლმეურნეობებში.

შვიდწლედის მეხუთე წელს საწარმოო სამმართველოში შემავალმა კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მზესუმზირა უნდა დათესონ 10.912 ჰექტარი. შრომის სწორად მოწყობის შედეგად დავალება გადაჭარბებით გაანაღდეს, დათესეს 12.128 ჰექტარი. სწრაფად ითესება ბარდა. პირველი აპრილისათვის ეს სამუშაო შესრულდა 1.600 ჰექტარზე. სულ რაიონში საგაზაფხულო კულტურები დათესილია 16.162 ჰექტარი.

პროგრესული ნესით

გურჯაანი. (სპეც. კორ). რაიონში ყოველდღე ასამდე მექანიზატორი დილიდან ღამამდე თესავს საგაზაფხულო კულტურებს. მარტო გუშინ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში დაითესა 500 ჰექტარი. ხოლო სულ დათესილია 6.026 ჰექტარი საგაზაფხულო კულტურები.

უკანასკნელ დღეებში მიწის სითბომ 10-12 გრადუსს მიაღწია. ეს სიმინდის დასათესად საუკეთესოა. სოფელ ბაკურციხის კოლმეურნეობა ამ ხელსაყრელ ამინდს კარგად იყენებს. აქ პირველები შეუდგნენ დაკალიბრებული სიმინდის თესვას კვადრატულ-ბუდობრივად. ტრაქტორისტ შ. ჩიტაძე დღეში სიმინდის თესვის ნორმას 180 პროცენტით ასრულებს. კოლმეურნეობაში სიმინდი უკვე დაითესა 75 ჰექტარი.

საღამამდე არ წყვეტს მუშაობას სოფელ ჯიმითის კოლმეურნეობაში მექანიზატორი ნიკოლოზ შავლიაშვილი. იგი თესვის დაწყებიდან მანქანას შეუფერხებლად ამუშავებს და ყოველდღიურ ნორმას ერთიორად ასრულებს. ასევე კარგად მუშაობს სოფელ ჭანდრის კოლმეურნეობაში ტრაქტორისტი ვასილ ზავრაშვილი.

სოფლების არაშენდის, ყანდაურის, გურჯაანის კოლმეურნეობებსა და ივრის, საგარეჯოს, მუკუზნის საბჭოთა მეურნეობებში სიმინდი ძირითადად პროგრესული წესით — კვადრატულ-ბუდობრივად ითესება. აქ უკვე დაითესა სიმინდის პირველი ათეული ჰექტარები.

რაიონში კარგად იმუშავეს მზესუმზირას თესვაზე. გუშინდელი დღის ჩათვლით მზესუმზირა დათესეს 3.070 ჰექტარი და ამით თესვის გეგმა ასი პროცენტით შეასრულეს, ხოლო ბარდა- დათესეს 620 ჰექტარი ნაცვლად 600 ჰექტარისა.

სურათზე: ჩაის ბუჩქების მექანიზებული სხვლა ზუგდიდის საწარმოო სამმართველოს ინგირის კოლმეურნეობაში.
ფოტო ბ. სოკოლოვისა.

მეაგურეთა წარმატება

საბურთალოს მშრალი წნეხვის აგურის ქარხნის (დირექტორი ი. ინგოროყვა) კოლექტივი შვიდწლედის მეხუთე წლის პირველი დღეებიდანვე რიტმულად და გამართულად მუშაობს. სწორედ ამის შედეგია, რომ აქ პირველი კვარტალის გეგმა 29 მარტისათვის შესრულეს, გეგმის გადამეტებით მშენებლებს 185 ათასი ცალი აგური და მოსახლეობას 24.400 მანეთის მხატვრული კერამიკული ნაწარმი მიაწოდეს.

გვნელი პერიოდში შრომის სწორი ორგანიზაციის შედეგად შრომის ნაყოფიერებან ამაღლდა 3,2 პროცენტით და გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულება შემცირდა 7 ათასი მანეთით.

მაღალნაყოფიერი შრომით განსაკუთრებით ისახელა თავი საგამოწვო საამქროს, რომელსაც ლ. ცხომელიძე ხელმძღვანელობს. ცვლებს შორის უველას გაუსწრო მ. ქუთათელაძის ცვლამ. კარგად იმუშავა მხატვრული კერამიკის საამქრომ, რომელსაც ლ. მოსულიშვილი და ი. ცერიაშვილი უძღვებიან.

ქარხნის კოლექტივი საპირველმაისო შრომითს ვახტზე დადგა და ვალდებულება იკისრა აპრილში მშენებლებს გეგმის გადამეტებით მისცეს 350 ათასი ცალი აგური.

ფეიქრების დანაზოგი

ქუთაისი. უკანასკნელ წლებში გამართულად, რიტმულად მუშაობს ქუთაისის ვ. ი. ლენინის სახელობის მაუდის ფაბრიკა (დირექტორი ი. ი. იმედაძე). აქ საერთო წარმატებასთან ერთად აღსანიშნავია ის, რომ სისტემატურად აუმჯობესებენ წარმოების ეკონომიურ მაჩვენებლებს და ღირსეული წვლილი შეაქვთ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მომზადების საქმეში.

ქუთაისელმა ფეიქრებმა წარმატებით დაიწყეს შვიდწლედის მეხუთე წელიწადი. 25 მარტისათვის გადაჭარბებით შეასრულეს პირველი კვარტალის დავალება, მკვეთრად გაუმჯობესეს წარმოების ყველა მაჩვენებელი. ორ თვეში შრომის ნაყოფიერება გეგმასთან შედარებით 6,8 პროცენტით გაიზარდა, ხოლო პირველი ხარისხის ქსოვილების გამოშვებამ 11 პროცენტს გადააჭარბა. დაზოგილია დიდძალი ნედლეული, სათბობი და ელექტროენერგია, მკვეთრად შემცირდა მანქანების მოცდენა. „ყოველივე ამან ხელი შეუწყო პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას. **მარტო ორ თვეში თვითღირებულების შემცირების გზით ფაბრიკამ 88.500 მანეთი მოგება მიიღო.**

წარმოების კოლექტივი ახლა იმისათვის იბრძვის, რომ არ შეანელოს შრომის ტემპი, რათა ახალი შრომითი საჩუქრები მოუმზადოს პირველ მაისს.

ფეიქრების მოწინავენი

ქობულეთი. (სპეც. კორ.). გასულ წელს ქობულეთელმა მეტორფეებმა სასახელოდ იშრომეს. წარმატებით გაანაღდეს შვიდწლედის მეოთხე წლის სახელმწიფო დავალებები. საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა შესრულებულია 109,2 პროცენტით, ხოლო სასაქონლო პროდუქციისა — 112,2 პროცენტით. თვითღირებულების შემცირების შედეგად ქარხანამ 41,1 ათასი მანეთი ეკონომია მიიღო. ხელფასის ფონდში დაზოგულია 4,9 ათასი მანეთი.

მოპოვებული წარმატებების გამო ქობულეთის ტორფის ქარხანას მიეკუთვნა პირველი ადგილი რესპუბლიკაში და გადაეცა ტრესტ „საქტორფის" გარდამავალი წითელი დროშა.

მაღალი ჯილდოს პასუხად ქარხნის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა ტორფის ამოღების, გამოხიდვისა და გადამუშავების წლიური გეგმა 20 დეკემბრისათვის შესრულოს.

გეგმა — ვადამდე

ტყიბული. (საკ. კორ.). **ტყიბულქვანახშირის ტრესტმა (უფროსი ლ. რატიანი) საშობლოს ვადაზე 5 დღით ადრე უპატაკა ქვანახშირის მოპოვების პირველი კვარტალის სახელმწიფო დავალების შესრულებაზ. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ქვანახშირის ამოღება გადიდდა 6,2 პროცენტით.**

მეშახტეები საპირველმაისო შრომითს ვახტზე დადგნენ და ახალ შრომითს საჩუქრებს უმზადებენ მშრომელთა დიდ დღესასწაულს.

რკინიგზელთა გამარჯვება

ზვიადფლდის მეხუთე ჭელს კარბი სტარტი აიღეს ამიერკავკასიის რკინიგზის მუშაკებმა. მაგისტრალის კოლეჯიტივმა გადაჭარბებით გაანაღდა პირველი კვარტალის სახალხო-სამეურნეო გეგმის დატვირთვისა და გადაზიდვის გეგმა. გეგმასთან შედარებით 9.6 პროცენტით დაჩქარა ვაგონების ბრუნვა, მნიშვნელოვნად შეამცირა გადაზიდვის თვითღირებულება. ელმავლების საშუალო სადღეღამისო გარბენის ნორმას 12 კილომეტრით გადაჭარბეს ლოკომოტივის მძღოლებმა.

შეჯიბრებაში კვლავ პირველობას ინარჩუნებენ სამტრედიის განყოფილების მუშაკები, რომლებიც ექვსი თვეა ზედიზედ იღებენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს გარდამავალ წითელ დროშას.

ზესტაფონი — არის ზეგეგმითი პროდუქცია

ზესტაფონი (საკ. კორ.). **დაბა შორაპანში არის ელექტროელემენტების დამამზადებელი ქარხანა, რომლის ახალგაზრდა კოლექტივი მაღალნაყოფიერად მუშაობს. ქარხნის კოლექტივმა ვადამდე შეასრულა პირველი კვარტალის დავალება და აპრილის ანგარიშში უკვე 40 ათას ცალზე მეტი ელექტრობატარია გამოუშვა. დავალებებს ორმაგად ასრულებენ შ. კვინიკაძე, მ. რობაძე, ე. ბაქრაძე, ფ. ქარქაშაძე და სხვები.**

ქარხნის კოლექტივის ერთსულოვანი გადაწყვეტილებაა კიდევ უფრო გაძლიეროს შრომის ტემპი და ღირსეული საჩუქრები მოუმზადოს საპირველმაისო დღესასწაულს.

„შოთა რუსთაველი" დიდი ნაოსნობის წინ

კალინინგრადი. (ტელეფონით. „კომუნისტის" სპეც. კორ.). მაბათს, 30 მარტს, დასავლეთის საზღვაო ჭიშკარი გაეღო ჩვენმა სამშობლომ საოკეანო ხომალდს „შოთა რუსთაველს".

„ეს გემი საბჭოთა ინჟინრების პროექტის მიხედვით ააგეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ორ უდიდეს გემთსაშენებლო ქარხანაში. ამ გემმა ბალტიის ზღვაში გაიარა ტექნიკური და საექსპლოატაციო გამოცდა.

გემ „შოთა რუსთაველის" კაპიტანმა აბესალომ ზენეიშვილმა განაცხადა, რომ 10 აპრილს თევზსაჭერი გემით ეკვატორზე შემოვლით აფრიკისაკენ გავემგზავრებთ. უახლოეს წლებში კიდევ მივიღებთ ორ ტროალერს — „ვასილ კიკვიძეს" და „გალაკტიონ ტაბიძეს". ამ გემებთან ჩვენი რესპუბლიკა აწარმოებს თევზის ბერას ღია ოკეანეებში.

* * *

ბემ „შოთა რუსთაველის" სიგრძეა 80 მეტრი, ხოლო სიგანე 13 მეტრს აჭარბებს. გემის ძრავის სიმძლავრე 1.652 ცხენის ძალას უდრის. გემზე დადგმულია 300-ზე მეტი ელექტროამძრავი. ელექტრომოწყობილობა მთლიანად უზრუნველყოფს ეკიპაჟის ნორმალურ მუშაობას ტროპიკულ პირობებში პლუს 55 გრადუს ტემპერატურამდე. გემი აღჭურვილია თანამედროვე თევზსაძიებო აპარატურით, რომელიც მოქმედებს როგორც ვერტიკალურად, ისე ჰორიზონტალურად და უზრუნველყოფს თევზის ბერას 4.000 მეტრის რადიუსით. აქვე მოთავსებულია სამაცივრო მოწყობილობა, რომელიც უზრუნველყოფს თევზის გაყინვას 48 გრადუს ტემპერატურამდე. გემზე მოწყობილია 2 ტექნოლოგიური საამქრო — თევზის დამამუშავებელი და თევზის ფქვილის გამოსაშვები. პირველის წარმადობა დღე-ღამეში შეადგენს 30 ტონას, ხოლო მეორისა — 20 ტონას.

საოკეანო თევზსაჭერი გემი აღჭურვილია თანამედროვე რადიოკავშირის აპარატურით. მომსახურე პერსონალისათვის მოწყობილია ერთადგილიანი და ორადგილიანი კაიუტები და საყოფაცხოვრებო დანიშნულების სხვა სათავსები. ჰაერის კონდიციერების მთელი სისტემა ისეა მოწყობილი, რომ ტროპიკულ პირობებში შეძლებოდეს ნორმალური მუშაობა.

გემი „შოთა რუსთაველი" ოკეანეებში დაყოფს 141 დღეს.

უნდა მივაღწიოთ განიარაღებას!

პარიზი, 1 აპრილი. (საკდესი). **საფრანგეთის 3.5 ათასზე მეტი მშვიდობისათვის მებრძოლი შეკრება გუშინ ქალაქ შინონის (ენდრისა და ლუარის დეპარტამენტი) მახლობლად, რათა მოეთხოვათ განიარაღება და ატომური ენერგიის გამოყენება მხოლოდ მშვიდობიანი მიზნით. მიტინგზე გამოვიდნენ მშვიდობის მომხრეთა მოძრაობის წარმომადგენლები ლაბეირი და ლასტრი.**

ცხოვრება ქვირდება

დასავლეთი ბერლინი, 1 აპრილი. (საკდესი). ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების თანახმად, საარსებო მინიმუმი დასავლეთ ბერლინში გაიზარდა ერთი წლის მანძილზე 4,9 პროცენტით. სურსათის ფასების გაუნუწყვეტელი ზრდის შედეგად დასავლეთ ბერლინის მოსახლეობის ჯარჯები კვებაზე გაიზარდა ამ პერიოდში 9,1 პროცენტით.

უკანასკნელ საათს

ბრიტანეთის საქმიანი წრეების წარმომადგენლები მოსკოვში

მოსკოვი, 1 აპრილი. (საკდესი). გუშინ საღამოს მოსკოვში ჩამოვიდა რუსეთ-ბრიტანეთის სავაჭრო პალატის პრეზიდენტი ჯონ მეიერი ბრიტანეთის საქმიანი წრეების თვალსაჩინო წარმომადგენლების ჯგუფთან ერთად.

ღრუბელი დედამიწის გარშემო

მოსკოვი, 1 აპრილი. (საკდესი). ჩვენს დედამიწას გარს არტყია წყალბადის ბრტყელი ღრუბელი. მთვარის ზედაპირიდან კოსმონავტი დაინახავდა სპეციალური ხელსაწყოთი ამ ღრუბელს. იგი თავისი ფორმით ჰგავს სატურნის რგოლს. ეს ღრუბელი აღმოაჩინა საბჭოთა ასტრონომმა პ. შჩეგლოვმა. გაანგარიშებით, ეს ღრუბელი მდებარეობს დაახლოებით 10 ათას კილომეტრზე დედამიწიდან.

რატომ არ იყო დღემდე ცნობილი რამე ამის შესახებ? — შეეკითხა ასტრონომს საკდესის კორესპონდენტი.

პ. შჩეგლოვმა უპასუხა, არც ერთმა ხელსაწყომ არ მოგვცა იმის საშუალება, რომ შეგვემჩნია ასეთი ღრუბელი. იგი აღმოვაჩინეთ ახალი ზემგრძნობიარე ასტრონომიული აპარატურის საშუალებით, ეს აპარატურა გვიჩვენებს, რომ ღრუბელი წამში მოძრაობს 5 კილომეტრამდე სიჩქარით, რაც არც თუ ისე დიდია ასტრონომიის თვალსაზრისით. ჩვენთვის ეს წყალბადის ბრტყელი დისკო უძრავია.

წყალბადის ბრტყელი ღრუბლის აღმოჩენამ მოითხოვა მეტად ზუსტი ექსპერიმენტი. აქამდე მხოლოდ ეს იყო ცნობილი, რომ წყალი და მეთანი, რომლებიც ადიან 80 კილომეტრ სიმაღლეზე, იშლებიან და გამოყოფენ წყალბადს. მაგრამ მათი შემდგომი ბედი დედამიწის მახლობლად გაურკვეველი იყო. ამასთან, წყალბადი სამყაროს ძირითადი საშენი ელემენტია.

საბჭოთა მეცნიერმა, რომელიც ცდილობდა შეექმნა რუკა, თუ როგორ ნაწილდება წყალბადის გამოსხივება ცაში, შექმნა 50-ჯერ უფრო მგრძნობიარე დანადგარი იმ ხელსაწყოებთან შედარებით, რომლებსაც დღემდე იყენებდნენ ამ მიზნით. სწორედ ამ დანადგარის საშუალებით მიღებულია დედამიწის მახლობელი წყალბადის ღრუბლის სურათების სერია, რომელიც პირველია მსოფლიოში.

ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო სომალის პარლამენტის დელეგაცია

გაგრა, 1 აპრილი. (საკდესი). სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა, რომელიც გაგრაში ისვენებს, დღეს მიიღო სომალის რესპუბლიკის დელეგაცია სომალის ეროვნული კრების თავმჯდომარის ჯიმ აბდულაჰი ჰალების მეთაურობით, რომელიც საბჭოთა კავშირში იმყოფება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მოწვევით.

ნ. ს. ხრუშჩოვსა და სომალის პარლამენტის წევრებს შორის გაიმართა გულთბილი მეგობრული საუბარი. საუბარში მონაწილეობა მიიღო სომალის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა სსრ კავშირში აჰმედ მოჰამედ ადანმა.

საბჭოთა კავშირის მხრივ საუბარს დაესწრო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე მ. ა. აბდურაზაკოვი.

საოლქო საგზო სესია

ცხინვალი, 1 აპრილი. (საკდესი). გაიმართა სამხრეთ ოსეთის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს პირველი სესია, რომელმაც განიხილა ორგანიზაციული საკითხი. მშრომელთა დეპუტატების მესამე მოწვევის საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარედ არჩეულია ვ. ი. გაზაევი, პირველ მოადგილედ — კ. კ. ჯიოევი, მოადგილეებად — ი. გ. ხარებოვი და ვ. გ. მულაძე. არჩეულია მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭო. შექმნილია შტატისა და შტატგარეშე განყოფილებები, დამტკიცებულია განყოფილებათა გამგეები, შექმნილია მუდმივმოქმედი კომისიები.

სესიამ განიხილა აგრეთვე მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების მდგომარეობისა და შემდგომი გაუმჯობესების საკითხი. სესიაზე აღინიშნა, რომ უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება. გაფართოვდა სამედიცინო დაწესებულებათა ქსელი. ამასთან ერთად სესიაზე აღინიშნა აგრეთვე ნაკლოვანებანი ოლქის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებაში.

სესიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც მიზნად ისახავს გაუმჯობესოს მოსახლეობის სანიტარულ-ჰიგიენური მომსახურება.

სომეხი რევანშრიანტები სამშობლოში დაბრუნდნენ

ერევანი. (საკდესის კორ.). სომეხ რეპატრიანტთა დიდი ჯგუფი ირანიდან სამშობლოში დაბრუნდა.

რამდენიმე დღის წინათ ისინი ბაქოში ჩამოვიდნენ, 26 მარტს კი ჩავიდნენ მუდმივ საცხოვრებელ ადგილას ახალგაზრდა სამრეწველო ქალაქ რაზდანში, რომელიც 40 კილომეტრით არის დაშორებული რესპუბლიკის დედაქალაქს.

უკანასკნელი ექვსი თვის განმავლობაში კვიპროსიდან, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკიდან, ირანიდან და სხვა ქვეყნებიდან საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა ბევრი სომეხი.

საბჭოთა კავშირის სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ 1 აპრილიდან ჩვენს ქვეყანაში მოეწყოს საზოგადოებრივი დათვალიერება იმისა, თუ როგორ სრულდება სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა გეგმები და როგორ ინერგება მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები სახალხო მეურნეობაში.

ახლის მაძიებელნი, სალაშქროდ!

დათვალიერების მიზანია გადიდდეს მუშათა, სპეციალისტთა, მეცნიერ თანამშრომელთა, სამეცნიერო ტექნიკური საზოგადოებების ორგანიზაციათა შემოქმედებითი აქტივობა.

სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა პირველადმა ორგანიზაციებმა უნდა იბრძოლონ ახალი ტექნიკური საშუალებებისა და მასალების საცდელი ნიმუშების შექმნის ვადების შემცირებისათვის, აგრეთვე წარმოებაში მათი რაც შეიძლება მალე დანერგვისათვის.

საზოგადოებრივი დათვალიერების ხელმძღვანელობისათვის გადაწყვეტილია შეიქმნას კომისიები. ისინი მოისმენენ მოხსენებებსა და ინფორმაციებს დათვალიერების მიმდინარეობის შესახებ, მიიღებენ ღონისძიებებს გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის.

საბჭოთა კავშირის მეცნიერულ-ტექნიკურ საზოგადოებათა საბჭოს პრეზიდიუმმა დაწესა პრემიები დათვალიერების გამარჯვებულთათვის. პრემიებს შორის ოცზე მეტია პირველი პრემია 800 მანეთის ოდენობით თითოეული. გამარჯვებულნი დაჯილდოვდებიან აგრეთვე საბჭოთა კავშირის მეცნიერულ-ტექნიკურ საზოგადოებათა საბჭოს საპატიო სიგელებით.

დათვალიერება 31 დეკემბრამდე გასტანს.

ბაქოს „ნინოს" უმცროსი და

ბაქო, 29 მარტი. (საკდესის კორ.). რუსეთის სოციალ - დემოკრატიული მუშათა პარტიის ბაქოს კომიტეტის ერთ-ერთი არალეგალური სტამბის, რომელიც მოქმედებდა 1905 წლის რევოლუციის წინ, ისტორიის აღდგენა მოახერხა აზერბაიჯანელმა მეცნიერმა პროფესორმა ა. ნ. გულიევმა. დღემდე კარგად იყო შესწავლილი ბაქოს მხოლოდ ერთი სტამბის საქმიანობა, რომლის კონსპირაციული სახელი „ნინო" იყო. შენობაში, სადაც სტამბა მუშაობდა, მუზეუმი გაიხსნა. იმ დროის სხვა არალეგალური სტამბების შესახებ ძალიან ცოტა ცნობებია შემონახული.

ა. ნ. გულიევმა, როცა მეცხიერულ შრომას ამზადებდა ბაქოს 1903 წლის გაფიცვის შესახებ, საქართველოს სსრ სახელმწიფო ცენტრალურ ისტორიულ არქივში აღმოაჩინა საბრალმდებლო აქტი უცნობი არალეგალური სტამბის მუშების ა. ხაჩიევისა და ს. გურეევიჩის საქმის გამო, რომლებიც პროვოკატორების დაბეზღებით დააპატიმრეს. დოკუმენტში დაწვრილებით იყო აღნუსხული სტამბის გამოცემანი, გამოცემათა დახასიათება და ცალკეული ფურცლების მოკლე შინაარსი.

როგორც შემდეგ დაადგინა მეცნიერმა სტამბა არსებობდა 1903 წლის მარტიდან ნოემბრამდე და ამ დროის განმავლობაში გამოუშვა 40-ზე მეტი ფურცელი და პროკლამაცია, რომელთა საერთო ტირაჟი სულ ცოტა 65 ათასი ცალი იყო. სტამბა განსაკუთრებით აქტიურად მუშაობდა ივლისის საყოველთაო გაფიცვის დღეებში.

ა. ვ. გულიევმა დიდი გაჭირვებით იპოვნა ის სახლი, სადაც მოთავსებული იყო სტამბა. ეს სახლი მდებარეობდა ქალაქის ძველ ნაწილში — ბაქოს ციხეში. შენობაზე, სადაც 60 წლის წინათ მოთავსებული იყო სტამბა, გაკეთდება მემორიალური დაფა.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსაგან

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საკოლმეურნეო მშენებლობის ნიჭიერი ორგანიზატორი, ცხაკაიას რაიონის სოფელ ფოცხოს კოლმეურნეობის თავმჯდომარე

გრიგოლ პავლეს-ძე ზონინა

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

სა

დროშეგი გამარჯვებულთ

ცხაკაია. (საკ. კორ.). ამ დღეებში ცხაკაიას საწარმოო სამმართველომ და პარტიულმა კომიტეტმა საზეიმო პოსტარებაში გადასცეს გარდამავალი წითელი დროშები რაიონის იმ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, რომლებმაც შარშან თავი იჩინეს სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების საქმეში.

ჩაის ხარისხოვანი ფოთლის წარმოებასა და დამზადებაში საუკეთესო მაჩვენებლების მიღწევისათვის გარდამავალი დროშა გადაეცათ ხაბუმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობას და ლესიჩინის ჩაის საბჭოთა მეურნეობას.

აბრეშუმის პარკის დამზადების წლიური გეგმის გადატარებისთვის შესრულებისათვის გარდამავალი წითელი დროშა გადაეცა ფოცხოს კოლმეურნეობას, რომელსაც გეგმით გათვალისწინებული 9.020 კილოგრამის ნაცვლად სახელმწიფოს ჩაბარა 11.943 კილოგრამი აბრეშუმის პარკი და გეგმა 132,4 პროცენტით შეასრულა.

სიტყვის ხალხი

გეგეჭკორი. (ტელეგრაფით). კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს მშრომელთა მეშვიდწლეულის მეხუთე წლის პირველ კვარტალში სასახლეოდ იმუშავეს. სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვის გეგმა შეასრულეს 101 პროცენტით, რძისა — 100, კვერცხისა — 105 პროცენტით.

სახელმწიფოსათვის მეცხოველეობის პროდუქტების მიყიდვა გრძელდება.

გამოიწვიეს თელაველები

ზესტაფონი. (საკ. კორ.). საწარმოო სამმართველოს სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირზე ზესტაფონელმა მშრომელებმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს თელავის საწარმოო სამმართველოს მშრომელები და ახალი ვალდებულებები აიღეს: წელს გაუშვებენ 800 ჰექტარ ვენახს, ჰექტარზე მიიღებენ 46 ცენტნერ ყურძენს, — 19,5 ცენტნერ სიმინდს, სახელმწიფოს მიაყიდიან 31.000 ტონა ყურძენს და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს.

პარტიული ცხოვრება

მ ა ს ე ბ თ ა ნ, ცხოვრების ფუაგულში

აბხანაბმა ნ. ს. ხრუშჩოვმა თავის სიტყვაში რუსეთის ფედერაციის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოთა პარტიული კომიტეტების მდივნებისა და სამმართველოთა უფროსების თათბირზე ერთხელ კიდევ განმარტა პარტიული კომიტეტების უფლება-მოვალეობა ახალი ორგანიზაციული სტრუქტურის პირობებში.

პარტიული კომიტეტები მოწოდებული არიან აამაღლონ პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობა, სწორად გაანაწილონ კომუნისტები და კომკავშირელები, აღზრდონ კადრები მაღალი მომთხოვნელობის, პასუხისმგებლობისა და დისციპლინის სულისკვეთებით. ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი გვაფრთხილებს, რომ მუდამ ვიყოთ მასებთან, ცხოვრების შუაგულში, დაეხმარეთ მშრომელები კომუნიზმის მშენებლობის პროგრამის განსახორციელებლად.

ბოლნისის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს პარტიულმა კომიტეტმა თავიდანვე სწორად გაიგო ის დიდი ამოცანები, რომლებსაც პარტიულ მუშაკებს უყენებს ჩვენს ქვეყანაში სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარება, თვით ცხოვრება. დაეკომპლექტეთ რა პარტიული კომიტეტი საქმის მცოდნე, უნარიანი კადრებით, კურსი იდეოლოგიური და ორგანიზაციორული მუშაობის პარტიულ-ეროვანი ფორმებისა და მეთოდების გამოყენებაზე ავიღეთ.

მაგრამ ვიღრე ჩვენ მიერ გადადგმულ პირველ პრაქტიკულ ნაბიჯებს შეეხებოდე, საჭიროდ მიმაჩნია შეეხო იმ ამოცანებს, რომლებიც ბოლნისის რაიონის მშრომელთა წინაშე დგას. ამ ამოცანებიდან ერთ-ერთი მთავარია ის, რომ მოელი წლის მანძილზე უწრუნველყოთ ქალაქების თბილისისა და რუსთავის მოსახლეობა მაღალხარისხოვანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით. ამ დღეებში გამოქვეყნდა უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის ხელმოწერით სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის სახელზე მსხვილ ქალაქებთან და სამრეწველო ცენტრებთან მერძევეობა-მებოსტნეობის მეურნეობების შექმნის თაობაზე. საწარმოო სამმართველოს მშრომელებს ფართოდ გავაცანით ამ დოკუმენტის მნიშვნელობა. ამჟამად ვიღებთ საჭირო კონკრეტულ ღონისძიებებს, რომელთა განხორციელება უდავოდ შეუწყობს ხელს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით თბილისისა და რუსთავის მომარაგების გაუმჯობესებას.

ახალი სამეურნეო წლის დაწყების წინ რაიონის მშრომელებმა ერთხელ კიდევ გადადგეს თავიანთ შესაძლებლობებს და გადიდებული ვალდებულებანი იკისრეს. წელს სახელმწიფოს მიჰყიდიან 29.000 ტონა მარცვლეულს, 10.000 ტონა ყურძენს, 2.000 ტონა ხილს, 4.380 ტონა თამბაქოს ნედლეულს, 6.650 ტონა ბოსტნეულს, 6.600 ტონა კარტოფილს, 3.500 ტონა ბაღჩეულს, 3.512 ტონა ეთერ-ზეთოვან კულტურებს, 5.000 ტონა ხორცს, 14.000 ტონა რძეს, 350 ტონა მატყლს, 5 მილიონ 200 ათას ცალ კვერცხს და სხვ.

ჩვენ ღრმად დარწმუნებული ვართ, რომ ამ მნიშვნელოვანი მიჯნების აღება საფუძველი შესაძლებელია, თუ, რა თქმა უნდა, გამოყენებულ იქნა ყველა რეზერვი და საშუალება. ახლა მთავარი ის არის, რომ პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები სათავეში ჩაუდგნენ უხვი მოსავლისათვის გაჩაღებულ ლაშქრობას.

საწარმოო პრინციპის მიხედვით პარტიული ორგანოების სტრუქტურის გარდაქმნის შემდეგ ჯერ არცთუ დიდი დროა გასული, მაგრამ უკვე გვაქვს ახლებურად მუშაობის ერთგვარი გამოცდილება, პირველი ხელშესახები შედეგები.

პარტიული კომიტეტის ინსპექტორ-პარტორგანიზატორმა ბ. ვალიევმა მუშაობის დაწყებისთანავე პარტიულ კომიტეტში დააყენა საკითხი, რომ მოეწვიათ სოფელ დამიის კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრება და მშრომელთათვის ფართოდ გაეცნოთ პატრიოტი საბჭოთა ქალის ნ. ზაგლადას წერილი „გაუფრთხილდით მინდვრის მშრომელის ღირსებას". მალე მოწვეულ იქნა ასეთი კრებაც, რომელზეც შრომისუნარმოკლებული კოლმეურნეებიც მოვიწვიეთ. ინსპექტორ-პარტორგანიზატორმა მათთან ცალკე მოაწყო საუბარი, განუმარტა, რომ ახლა, როცა სოფელს მუშაფული აკლია, მათს საკოლმეურნეო შრომაში მონაწილეობასაც შეუძლია წინ წასწიოს საქმე. ადამიანებთან გულღია და მართალმა საუბარმა თავისი ნაყოფი გამოიღო. ხანდაზმულმა კოლმეურნემ ა. ვანინამ წინადადება წამოაყენა შეექმნათ მოხუც კოლმეურნეთა ბრიგადა, რომელსაც მოსავლელად მიუჩენდნენ ნაკვეთებს. ამ წინადადებას ყველა შრომისუნარმოკლებულმა დაუჭირა მხარი. ბრიგადირობა თვით ა. ვანინამ იკისრა. ახლა ამ ბრიგადის შრომითს საქმიანობაზე ლაპარაკობენ არა მარტო სოფელ დამიაში, არამედ მთელ რაიონში.

ამას წინათ ბოლნისის მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა ვ. სუმბაძემ ინსპექტორ-პარტორგანიზატორთან უ. ქართველიშვილთან საუბარში განაცხადა: გადავწყვიტეთ წელს სანიმუშოდ ოთხწყოთ მეღორეობის განვითარება, მხოლოდ დახმარება გვჭირდება ფერმის სრული მექანიზაციის საქმეშიო. ბოლნისელთა ინიციატივას — წელს გაასუქონ 1.000 ღორი და სახელმწიფოს ჩააბარონ 950 ცენტნერი ხორცი, ცხადია, მხოლოდ უნდა მივესალმოთ და პარტიულმა კომიტეტმაც დაუჭირა მას მხარი.

თელ რაიონს მოედო იმ დიდი ეკონომიური ეფექტის ამბავი, რაც გამოიწვია ბოლნისის საბჭოთა მეურნეოპის პარტიულ და სამეურნეო ხელმძღვანელთა ინიციატივის განხორციელებამ. კერძოდ, თუ მეცხოველეობის ფერმაში წინათ 12 კაცი მუშაობდა, ამჟამად, როცა განხორციელებულია ფერმის სრული მექანიზაცია, იქ მხოლოდ ორი კაცია დასაქმებული. საგულისხმოა ისიც, რომ ამ ორმა კაცმაც უარი განაცხადა ხელფასის მიღებაზე და თავიანთი შრომითი ანაზღაურება ღორების წონაში მატების მიხედვით ითხოვეს. ეს სიახლე სასარგებლო გამოდგა როგორც მეურნეობისათვის, ასევე ფერმის მუშაკთათვის. ამ დღეებში მეურნეობამ სახელმწიფოს ჩააბარა 150 სული ღორი (საშუალოდ 95 კილოგრამი წონისა), რითაც დიდი გადაჭარბებით შესრულა ხორცის მიყიდვის პირველი კვარტალის დავალება. გათვალისწინებული გვაქვს ახლო მომავალში ეს სიახლე დავნერგოთ რაიონის მეღორეობის ყველა ფერმაში.

ხომ არ არის გაბერილი საბჭოთა მეურნეობების სამმართველო აპარატი? ამ საკითხის შესწავლა განიზრახეს პარტიული კომიტეტის მუშაკებმა, რომლებმაც სპეციალისტებთან ერთად გამოიანგარიშეს შტატების შემცირების შედეგად მიღებული მოსალოდნელი ეკონომიური ეფექტი. პარტიული კომიტეტის მუშაკთა ეს წინადადება ყურად იღეს უყლარისა და ალგეთის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებმა. მათ ურჩიეს სპეციალისტებს კაბინეტიდან პირდაპირ უბნებში წასულიყვნენ სამუშაოდ. ცხადია, ამას საუკეთესო შედეგი მოჰყვა. სხვას რომ თავი დავანებოთ, ამით მნიშვნელოვნად შეამცირეს პროდუქციის თვითღირებულება. გამოთვლილია, რომ ამ ღონისძიებათა განხორციელების შედეგად ფუფლადმა ეკონომიამ საწარმოო სამმართველოს მასშტაბით 70.000 მანეთს გადააჭარბა.

პარტიული კომიტეტის ყურადღების ცენტრშია მეცნიერების მიღწევების და ბოწინავე გამოცდილების პროპაგანდა, ყოველიეე ახლის, პროგრესულის წარმოებაში დანერგვა.

პარტიული კომიტეტის ინსპექტორ-პარტორგანიზატორებმა გაზეთების საშუალებით შეიტყეს, რომ მეცხოველეობის გაერთიანების საქმეში საუკეთესო წარმატებებს აღწევს გაგრის რაიონის ბიჭვინთის მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობა. მათ წინადადება წამოაყენეს რაიონის მეცხოველეთა ერთი ჯგუფი გაეგზავნათ ბიჭვინთაში გამოცდილების გაზიარების მიზნით. მალე ბოლნისელები ეწვივნენ ბიჭვინთელ მეცხოველეებს და ჯულდასმით გაეცნენ მათს გამოცდილებას. ადგილზე დაბრუნების ჟამდეგ ბოლნისელი მეცხოველეები ყველაფერს აკეთებენ ბიჭვინთელთა მდიდარი გამოცდილების დასანერგავად. ამ გამოცდილებას ერთ-ერთი პირველი ნერგავს ყარაბულაღის საბჭოთა მეურნეობა. აქ ბიჭვინთელ მეცხოველეთა მაგალითისამებრ განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ თვითეულ ფურზე ორი ნაყოფის მიღებას, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას, რენტაბელური მუშაობის დანერგვას.

მოწინავე გამოცდილების გადმოსაღებად ხშირად ხორსაც არ გვიხდება წასვლა. სოფელ ფახრალოს კოლმეურნეობა „გამარჯვების" საქმიანობას რაიონში უფროოდ იცნობენ. ამ კოლმეურნეობაში არიან რეკორდმენი მეთამბაქოეები, ისეთები, როგორიც, მაგალითად, ნაბი ბუსეინოვი. მან შარშან ჰექტარ ფართობზე 28 ცენტნერი თამბაქო მიიღო. ამ წარმატების მოპოვების მთელი „საიდუმლოებაა" ის არის, რომ მეთამბაქოე თავის საქმიანობაში ფართოდ იყენებს მ. მანუკოვის გამოცდილებას. აქვს მუშაობის თავისი მეთოდებიც.

პარტიული კომიტეტის ინსპექტორ-პარტორგანიზატორი თ. აბუთიძე დაინტერესდა იმით, რომ შეესწავლა და რაიონის მეთამბაქოეთა კუთვნილება გაეხადა ნაბი ბუსეინოვის მეთოდები. ბუსეინოვის გამოცდილება დაისტამბა და გავრცელდა ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში. მაგრამ ეს საქმის, ასე ვთქვათ, მხოლოდ ერთი მხარეა. მთავარი ის არის, რომ პარტიული კომიტეტის მუშაკები ახლა ყურადღებას აქცევენ, თუ როგორ ინერგება იგი რაიონში. მალე ნაბი ბუსეინოვს მრავალი მიმდევარი გამოუჩნდა. მათ შორის არიან ვ. კვირკველია, ს. მამედოვა, ტ. სოფიევა, ჰ. მუსაევა და სხვები.

ამჟამად პარტიული კომიტეტი სწავლობს ყულარის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის გამოცდილებას ნაწვერალზე სიმინდის სასილოსე მასის უხვი მოსავლის მიღების საქმეში. შარშან, როგორც ცნობილია, ამ მეურნეობამ 20 ჰექტარი ნაწვერალის საშუალოდ ჰექტარზე მიიღო 200 ცენტნერი მწვანე მასა. პარტიული კომიტეტისა და საწარმოო სამმართველოს სპეციალისტებმა შეისწავლეს უყლარელთა გამოცდილება და პრაქტიკულად ნერგავენ მას მარნეულის, უაჰალნის, მუღანლოსა და სხვა საბჭოთა მეურნეობებში, ასევე ყურადღებია არახლოს საბჭოთა მეურნეობის დირექტორის გ. დოლიძის ინიციატივა ნაწვერალზე კარტოფილის მეორედ მოყვანის საქმეში. ამ ინიციატივას წელს ფართოდ დანერგავენ სხვა საბჭოთა მეურნეობებიც.

ბოლოს, ერთ საკითხს, თუ როგორ ესმით პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს თავიანთი მოვალეობა. თამარასის მეფრინველეობის ფაბრიკის (დირექტორი პ. გუნია) პარტიულმა ორგანიზაციამ შეისწავლა მოწინავე მეფრინველის ა. რეზვიაშვილის გამოცდილება. მისი განზოგადება და დანერგვა პრაქტიკულად ასე მოაწყეს. ჯერ აგიტკოლექტივის სხდომაზე განიხილეს, აგიტპატრულს და საეკონომიკო საბჭოებს ამ საკითხი, თუ როგორ ინერგება ეს გამოცდილება. ფაბრიკის ყველა უბანში გამოშვებულ იქნა სპეციალური პლაკატები, კედლის გაზეთები, რომლებიც ფართოდ აშუქებდნენ ა. რეზვიაშვილის გამოცდილებას. საბოლოოდ საქმე იქამდე მივიდა, რომ ა. რეზვიაშვილს მრავალი მიმდევარი გამოუჩნდა და არა მარტო თავის ფაბრიკაში, არამედ მთელ რაიონში.

ამჟამად რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გაჩაღებულია საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები. ამ კამპანიის მაღალხარისხოვნად ჩატარების მიზნით ადგილებზე შეიქმნა სპეციალური პარტიული საკონტროლო საგუშაგოები. პარტიული კომიტეტის მუშაკები უნარიანად წარმართავენ მათს საქმიანობას. პარტიული საკონტროლო საგუშაგოები სისტემატურად იძლევიან სიგნალებს არსებულ ნაკლოვანებათა შესახებ. საჭიროების შემთხვევაში საგუშაგოების მასალებს ვაქვეყნებთ სარაიონთაშორისო გაზეთში. ამ დღეებში კარგი ინიციატივა გამოიჩინეს სარაიონთაშორისო გაზეთის რედაქციის მუშაკებმა. მათ შემოიღეს გარდამავალი წითელი დროშა გამარჯვებული მოწინავე მეურნეობისათვის. ამ დროშის მისაღებად თავგამოდებით იბრძვიან კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები.

დასასრულ მინდა დავაყენო ზოგიერთი საკითხი, რომელთა დროული გადაწყვეტა დიდად შეუწყობს ხელს სოფლის მეურნეობის შემდგომ აღმავლობას. თუ გვინდა შეუფერხებლად მოვამარაგოთ თბილისი და რუსთავი მაღალხარისხოვანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით, ახლავე უნდა გადაწყდეს ველის (5.000 ჰექტარი) მორწყვის საკითხი. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებისა და დამზადების და წყალთა მეურნეობის სამინისტროებმა უკვე დაიწყეს სათანადო პროექტების დაშუშავება. ახლა საჭიროა მათი სწრაფად შედგენა.

საქმისათვის მეტად სასარგებლოა ჩვენთან ხშირად ჩამოვიდნენ მეცნიერები. მოსაწონია ინიციატივა იაღლუჯის საზამთრო სადგურზე მეცხვარეობის საცდელი მეურნეობის შექმნის საქმეში, რასაც სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტრო გეთავაზობს. ასეთი საცდელი სადგურები უნდა მოეწყოს სხვა სახის პირუტყვისთვისაც.

გაბედულად უნდა ავიღოთ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სამმართველო აპარატის შემცირების კურსი. წელს გათვალისწინებული გვაქვს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში შევამციროთ 399 თანამდებობა. ეს მუშაკები, როგორც სპეციალისტები, ყველანი იმუშაებენ იქ, სადაც უშუალოდ წყდება უხვი მოსავლის ბედი.

აღვნიშნავთ რა ჩვენს მიერ უკვე გადადგმულ ზოგიერთ პრაქტიკულ ნაბიჯს, ერთი წუთითაც არ გვავიწყდება, რომ პარტიულ კომიტეტს თავის მუშობაში აქვს ნაკლოვანებებიც. მაკსიმალურად არ ვიყენებთ პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის ყველა ფორმასა და მეთოდს. მაგალითად, სოფელ დარბაზის კოლმეურნეობაში დაბალი შრომის დისციპლინა, წლობით არ სრულდება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების გეგმები. საკოლმეურნეო შრომაში მონაწილეობას არ იღებს კოლმეურნეთა დიდი ნაწილი. მართალია, ეს ფაქტი ცნობილია პარტიული კომიტეტისათვის. მაგრამ თვითკრიტიკის წესით უნდა აღვნიშნოთ, რომ ადგილობრიობის გამოსწორებაზე მიზნით ადგილზე ჯერ კონკრეტული ღონისძიებები არ განგვიხორციელებია.

პარტიული კომიტეტი ჯერ კიდევ ნაკლებ ყურადღებას აქცევს საბჭოთა მეურნეობების მუშაკთა მაბობრივ მოწესრიგებას. ინსპექტორ-პარტორგანიზატორები — ინსპექტორები — ხანდახან ამ საკითხებზეც ფიქრობენ საბჭოთა მეურნეობების პარტიული ორგანიზაციების მდივნები. ყველგან ვერ რაზმავენ მეურნეობათა კოლექტივებს პარტიის მიერ დასახული ამოცანების შესასრულებლად. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ შარშან მარნეულის მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობაში სამუშაოზე მუშახელის გამოსვლის საკითხი განიხილა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ბიურომ. ცხადია, პარტიული კომიტეტის მუშაკები რომ მეტ ახსნა-განმარტებითს მუშაობას ეწეოდნენ მშრომელთა შორის, სამუშაოზე ყოველდღიურად სულ უფრო მეტი მუშა გამოვიდოდა.

სუსტად გვაკვს დარაზმული კომუნისტები და კომკავშირელები მეცხოველეობის განვითარებისათვის. ამის დასამტკიცებლად მარტო ის ფაქტიც კმარა, რომ ჩვენს რაიონში ჯერ კიდევ დაბალია ხორცის წარმოება.

ბევრი რამ გვაკვს გასაკეთებელი მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის გაუმჯობესებისათვის. ბოლნისის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს პარტიული ორგანიზაცია, რომელსაც ესმის დაკისრებული დიდი პასუხისმგებლობა, შემოქმედებითად იმუშავებს იმისათვის, რომ წარმატებით გადაწყვიტოს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის მიერ დასახული მნიშვნელოვანი ამოცანები.

ვ. სანიკიძე.

ბოლნისის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივანი.

სოფელი ანაკლია ზღვის ნაპირზე მდებარეობს. აქ ასობით ჰექტარი მიწა ჩაყენებულია ხალხის სასახურში. ეს ადგილი მეტად ხელსაყრელია მეკამეჩეობის განვითარებისათვის. ამიტომ რამდენიმე წლის წინათ აქ შეიქმნა მეკამეჩეობის საბჭოთა მეურნეობა იგი ერთ-ერთი დიდი მეურნეობაა ზუგდიდის რაიონში.

ყოველწლიურად იზრდება მეურნეობაში კამეჩის სულადობა და პროდუქტიულობა. უკანასკნელ წლებში მეურნეობაში მრავალი მეცხოველე გახდა ქების ღირსი. მათ შორის მთელი კოლექტივის პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა მწველავმა ნინო გოდნაიამ. იგი სასიმუშოდ უკლის 20 ფურკამეჩს. რძის წარმოების მიმდინარე წლის პირველი კვარტალის გეგმა 125 პროცენტით გაანაღდა. მოწინავე მწველავი ენერგიულად შრომობს იმისათვის, რომ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული გამოვიდეს.

სურათზე: მოწინავე მწველავი ნინო გოდნაია.

ფოტო ბ. სოკოლოვისა.

ინსტიტუტი და წარმოება

თუჯი—ახალი მეთოდით

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტის მეცნიერი თანაშრომლები აქტიურ მონაწილეობას იღებენ სკკპ XXII ყრილობის მიერ დასახული ამოცანების შესრულებაში. ეხერგიული ფორმით თავიანთი წვლილი შეაქვთ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში.

თუჯსაჩამოსხმა წარმოებაში მაღალტემპერატურული გამდნარი თუჯის მიღება ერთ-ერთ აქტუალურ პრობლემად ითვლება. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელთა ჯგუფმა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ფ. თავაძის ხელმძღვანელობით შექმნა ბოვის თუჯის გადახურების ახალი მეთოდი. ამ მეთოდის ორიგინალობას ამოწმებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული გამომგონებლობისა და აღმოჩენათა საქმეების კომიტეტის მიერ გაცემული საავტორო მოწმობა.

გაითვალისწინეს რა პრობლემის აქტუალობა და სახელმწიფო საპატენტო ექსპერტიზის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის რეკომენდაცია, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ და სახალხო მეურნეობის საბჭომ დაავალეს მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტს და ქუთაისის საავტომობილო ქარხანას ბოვის თუჯის გადახურების ახალი მეთოდის საწარმოო პირობებში გამოცდა და მისი დანერგვა.

მას შემდეგ, რაც ტექნიკაში ელექტროინერგიას იყენებენ, მეტალურგები ცდილობდნენ შეექმნათ ღუმელი, რომელშიც ელექტროენერგია გარდაიქმნებოდა სითბოდ თვით გასახურებელ კაზმში, ვინაიდან ამ შემთხვევაში მოსალოდნელია ყველაზე მაღალი მარგი ქმედების კოეფიციენტის მიღება გახურების სხვა შესაძლო საშუალებებთან შედარებით.

მიუხედავად უამრავი გამოგონებებისა და პატენტებისა, შავი ლითონების დნობისათვის განკუთვნილმა ვერც ერთმა პირდაპირი მოქმედების ელექტროღუმელმა დღემდე ვერ ჰპოვა პრაქტიკული გამოყენება, ვინაიდან მათი შექმნის დროს თავს იჩენდნენ „გადაულახავი კონსტრუქციული სიძნელეები".

ამ საკითხებზე მეტალურგიის ინსტიტუტში გაწეული კვლევის შედეგად შესწავლილია ის მიზეზები, რომლებიც ხელს უშლიდნენ პირდაპირი მოქმედების პრინციპის გამოყენებას სადნობ ელექტროღუმელებში და გარკვეულია მისი შესაძლებელი გამოყენების სფერო.

კერძოდ, დადგენილია ამ პრინციპის ეფექტურობა ბოვის თუჯის გადახურების პრობლემის გადასაწყვეტად.

ამ პრობლემის აქტუალობა მდგომარეობს შემდეგში: სსრ კავშირში 1960 წელს ჩამოსხმით მიღებულია 15 მილიონი ტონა თუჯის დეტალები, რისთვისაც საჭირო იყო დაახლოებით 20 მილიონი ტონა გამდნარი ლითონი, რომლის 90 პროცენტზე მეტი გამდნობილი იყო ბოვებში. ბოვი ჰაშვური ტიპის ღუმელია, რომელშიც - ისევე როგორც ბრძმედში, სათბობი და ლითონური კაზმი ზევიდან იტვირთება.

ვინაიდან ლითონური კაზმი დნება სათბობის ფენაში, ბოვს გაცილებით მაღალი მარგი ქმედების კოეფიციენტი აქვს, ვიდრე ალვადან ღუმელებსა და ელექტროღუმელებს, მაგრამ მას აქვს ნაკლიც: გამდნარი თუჯის ტემპერატურის გაზრდის მიზნით, წვის პროცესის ინტენსიფიცირების შემთხვევაში სასურველი ეფექტი არ გამოდის, ვინაიდან რაც უფრო მაღალია ტემპერატურა ბოვის სადნობ არეში, მით უფრო ინტენსიურად მიმდინარეობს ნახშირორჟანგიდან ნახშირბადის ნახშირჟანგად აღდგენის რეაქცია, დაკავშირებული სითბოს შთანთქმასთან და ბოლოს მყარდება წონასწორობა, რომლის შემდეგ სათბობის წვის ინტენსივობა ვეღარ გვაძლევს სადნობ არეში ტემპერატურის ამაღლებას, ე. ი. ბოვში თუჯის ტემპერატურის გაზრდის შესაძლებლობანი შეზღუდულია, ხოლო გამდნარი თუჯის სხვა ღუმელებში გადატანა და გადახურება დაკავშირებულია ისეთ დიდ ეკონომიურ და ტექნოლოგიურ სიძნელეებთან, რომ ამას მხოლოდ განსაკუთრებით პასუხსაგები სხმულის მიღების შემთხვევაში მიმართავენ.

ტექნიკის სწრაფი ზრდა მოითხოვს ლითონის ხარისხის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას, ხოლო თუჯის მაღალხარისხოვანი სხმულის მიღების საშუალებებიდან მთავარია მისი გადახურება თხევად მდგომარეობაში. ცნობილია, რომ თუჯის გადახურებასთან ერთად იზრდება მისგან მიღებული სხმულის ფიზიკურ-მექანიკური თვისებებიც. გარდა ამისა მცირდება აირისა და წიდის ნიკარებით გამოწვეული სხვლის ნუნი, ვინაიდან რაც უფრო მეტია გამდნარი თუჯის გადახურება, მით უფრო ნაკლებია მისი სიბლანტე, და არალითონური ჩანართები ადვილად გამოიყოფიან.

ინსტიტუტის მიერ დადგენილი თუჯის გადახურების მეთოდის პრინციპული სქემა შემდეგში მდგომარეობს: ბოვიდან გამოშვებული დაბალი ტემპერატურის მქონე თუჯი ღარზე გავლის დროს კრავს ელექტრულ წრედს ღარში ჩადგმულ ორ ელექტროდს შორის, რომლებიც შეერთებული არიან დაბალი ძაბვის ტრანსფორმატორთან. მთელი სითბო, რომელიც ფიზიკაში ცნობილი ჯოულ-ლენცის კანონის თანახმად გამოიყოფა, ლითონის ნაკადში დენის გავლის დროს ხმარდება მის გადახურებას.

ამგვარად, ენერგიის მაქსიმალურად გამოყენებით შესაძლებელია ნებისმიერი ტემპერატურის მქონე გამდნარი თუჯის მიღება.

ტემპერატურის რეგულირება ხორციელდება ელექტროდებთან მიყვანილი დენის ძაბვის ცვალებადობით. ხოლო მთელი მოწყობილობა არ მოითხოვს დიდ კაპიტალურ დაბანდებებს და დამატებით საწარმოო ფართობებს.

ყველა ის სინდელე, რომლებმაც თავი იჩინა აღნიშნული მეთოდის წარმოებაში გამოცდის დროს, წარმატებით იქნა დაძლეული მეტალურგიის ინსტიტუტისა და ქუთაისის საავტომობილო ქარხნის მუშაკების ერთობლივი მუშაობის შედეგად.

ამჟამად ქუთაისის საავტომობილო ქარხნის № 2 ჩამომსხმელ საამქროში დამთავრებულია მოდმივად მოქმედი სამრეწველო დანადგარის მონტაჟი და მისი საწარმოო გამოცდა.

ნ. ხუციშვილი,
მეტალურგიის ინსტიტუტის წამყვანი ინჟინერი.

მ. ლანჩავა,
ინჟინერი.

ზორს

ზორს აღარ არის ის დღე, როცა მწყობრში ჩადგება კაპროლაქტამის საწარმო და ჩვენი ქვეყნის ქიმიური მრეწველობა მიიღებს საუკეთესო ნედლეულს — კაპროლაქტამს.

განვლილი კვირის განრიგის შესასრულებლად მშენებელ-მემონტაჟეებმა ძალა მაღალი ტემპით იმუშავეს. კოლონებზე, აგრეგატებზე, საზომ-საკონტროლო ხელსაწყოებზე დასაქმებული იყო სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციების თითქმის ყველა სპეციალისტი. მათი რიცხვი 2.000 კაცს აღეწმატებოდა.

რა იყო ყველაზე მნიშვნელოვანი განვლილ კვირაში?

მზად არის და მალე მწყობრში ჩადგება 973 კორპუსი. ამ კორპუსზე დამთავრდა საცდელ-სამონტაჟო სამუშაოები, გარდა თერმოიზოლაციისა. აღსანიშნავია ის, რომ კვირეული განრიგით გათვალისწინებული ექვსი პუნქტიდან ამ კორპუსში 5 პუნქტზე ვადამდე შესრულდა ყველა სამუშაო. განსაკუთრებით გამოირჩინეს თავი „ენერგორემონტის", „მეტალურგპროკატმონტაჟის", „პრომშენტილაციისა" და სხვა სამონტაჟო ორგანიზაციებმა (სამმართველოთა უფროსები — გ. ჩიჩუა, ვ. იმნაძე, მ. ჩიქოვანი).

ასევე ითქმის. 974 კორპუსის მიმართ. იმის შედეგად, რომ დამკვეთმა ორგანიზაციამ — აზოტოვანი სასუქების ქარხანამ (დირექტორი ა. საღარეიშვილი) შეძლო შეუფერხებლად მოემარაგებინა მემონტაჟეები საჭირო დანადგარ-მოწყობილობითა და მასალებით, მშენებლებმაც წარმატებით გაართვეს თავი განრიგით გათვალისწინებულ სამუშაოთა შესრულებას. განსაკუთრებით ხარისხიანად და დროულად ჩატარდა მილგაყვანილობის პნევმატური გამოცდა, ყველა ელექტროფილტრის ძაბვის ქვეშ მოსინჯვა, მაცივრების გამოცდა, თუჯის მილგაყვანილობათა მონტაჟი და ა. შ. აქაც უფრო ყოველსა აღსანიშნავია „მეტალურგპროკატმონტაჟის" სამმართველოს კოლექტივის კარგი, გამართული მუშაობა.

№ 959 კორპუსზე განვლილ კვირაში მუშაობდნენ „კაველექტრომონტაჟის", „სოიუზტერმოიზოლაციის" და „პრომშენტილაციის" სამმართველოთა კოლექტივები. მათ წარმატებით შეასრულეს განრიგით გათვალისწინებული ყველა პუნქტი. დაამთავრეს № „12" ნიშნულის დანადგარებისა და მილგაყვანილობის მონტაჟი და გამოცდა, კაბელების ქსელის ელექტრომონტაჟი, № „15" ნიშნულის აპარატების იზოლაცია, სავენტილაციო სისტემის მონტაჟი და მრავალი სხვა სამუშაო.

ცუდს ვერაფერს ვიტყვით იმ მშენებელ-მემონტაჟეების მიმართ, რომლებიც მუშაობდნენ 964 კორპუსზე. აქ დროულად და სწორად იქნა გადაჭრილი მრავალი რთული საკითხი. ასაორთქლებელ კამერებზე დააკომპლექტეს და დააყენეს 7 ამძრავი, იზოლაცია გაუკეთეს 4 აპარატს. სხვათა შორის, ამ სამუშაოთა დამთავრება გათვალისწინებული იყო 3 აპრილისათვის, მემონტაჟეებმა კი 4 დღით ადრე შეასრულეს. ასევე წარმატებით იქნა შესრულებული სამაცივრო გაყოფილების მილგაყვანილობის, იზოლაციისა და მრავალი სხვა სამუშაო.

ერთი დამახასიათებელი და უდავოდ კარგი მოვლენა. კაპროლაქტამის საწარმოს მშენებლობაზე განვლილ კვირაში ის იყო, რომ მშენებელ-მემონტაჟეებთან ერთად განრიგით გათვალისწინებულ სამუშაოთა შესრულებაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ თვით აზოტოვანი სასუქების ქარხნის ინჟინერ-სპეციალისტები. მრავალ ჯაბეკსა თუ გოგონას, რომლებიც აოც თუ ისე დიდი ხანია დაბოლოდნენ ჩვენი ქვეყნის ქიმიური ქარხნებიდან, ნახავდით აგრეგატებთან, საკონტროლოსაზომ ხელსაწყოებთან. ისინი მემონტაჟეებთან ერთად წყვეტდნენ მშენებლობისა და მონტაჟის მრავალ საკ

დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტი

უცხოეთის გამოსამაურება ნ. ს. ხრუშჩოვის ინტერვიუზე

რიო-დე-ჟანეიროს, 29 მარტი. დღეს „ულტიმა ორამ“ გამოაქვეყნა ტექსტი ინტერვიუსი, რომელიც ნიკიტა სერგეის-ძე ხრუშჩოვმა გაზეთის დირექტორს პაულო სილვეირას მისცა.

პირველ გვერდზე გაზეთი ბეჭდავს ნიკიტა სერგეის-ძის ფოტოგრაფიას, ხოლო სათაურში გამოაქვს სიტყვები: „საბჭოთა კავშირის პრემიერ-მინისტრი ლაპარაკობს ბრაზილიასა და სოციალისტური ბანაკის ქვეყნებს შორის ურთიერთობაზე“.

გაზეთი ცალკე გამოაყოფს ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვებს იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირი მზად არის ეკონომიური დახმარება გაუწიოს ბრაზილიას მის სამრეწველო განვითარებაში და რომ სსრ კავშირსა და ბრაზილიას შორის არ არის არცერთი სადავო საკითხი, რომელიც ხელს უშლიდეს მათ შორის მეგობრული ურთიერთობის განვითარებას.

„პრავდის“ კორესპონდენტთან საუბარში პაულო სილვეირამ თქვა:

— ჩვენი აზრით, პრემიერ ხრუშჩოვის ინტერვიუ მოსწავებს, რომ ბრაზილია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობაში იწყება ახალი ერა. ერა, კიდევ უფრო ღინამიური და ქმედითი, რაც უეჭველად დიდმნიშვნელოვან როლს შეასრულებს ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ განვითარებაში.

პირადად მე მიმაჩნია, რომ ნიკიტა ხრუშჩოვმა თავისი ინტერვიუთი დაგვისახა პერსპექტივა კიდევ უფრო მჭიდრო და — არ შემეშინდება ამ სიტყვისა — გულითადი ურთიერთობის დამყარებისა.

პრაღა, 30 მარტი. (საკდესი). ნ. ს. ხრუშჩოვის ინტერვიუ ბრაზილიის გაზეთ „ულტიმა ორასადმი“ ჩეხოსლოვაკიის პრესის საზღვარგარეთელი ცნობების მთავარი თემაა. გაზეთები თვალსაჩინო ადგილას აქვეყნებენ ინტერვიუს და განსაკუთრებით ხაზს უსვამენ საბჭოთა მთავრობის მეთაურის იმ განცხადებას, რომ კუბელ ხალხს შეუძლია იქონიოს საბჭოთა კავშირის დახმარებისა და მხარდაჭერის იმედი. პრესა მსხვილი შრიფტით გამოაყოფს აგრეთვე ინტერვიუს იმ ადგილებს, სადაც ნ. ს. ხრუშჩოვი ამბობს, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოთა ეკონომიურ თანამშრომლობას, რომ „მხოლოდ ხალხებს შეუძლიათ თვიანთი გადამწყვეტი მოქმედებით გზა გადაუღობონ მსოფლიო ომს“.

„რუდე პრავო“, რომელმაც გამოაქვეყნა ინტერვიუს დაწვრილებითი ადგილები, წერს: „სსრ კავშირი რევოლუციური კუბის ერთგული მეგობარია. ეკონომიური თანამშრომლობის განვითარება მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკის საფუძველია“.

სოფია, 30 მარტი. (საკდესი). ბულგარეთის ყველა დღევანდელმა გაზეთმა პირველ გვერდებზე გამოაქვეყნა საბჭოთა მთავრობის მეთაურის ნ. ს. ხრუშჩოვის პასუხი ბრაზილიის გაზეთ „ულტიმა ორას“ დირექტორის პაულო სილვეირას კითხვებზე.

საბჭოთა კავშირი გასაჭირში არ დატოვებს თავის კუბელ მეგობრებს, აღნიშნავს სათაურში გაზეთი „რაბოტნიჩესკო დელო“. გაზეთმა „ოტეჩესტვენ ფრონტმა“ ნ. ს. ხრუშჩოვის პასუხი გამოაქვეყნა სათაურით „საბჭოთა კავშირი იყო და არის რევოლუციური კუბის ერთგული მეგობარი“.

გაზეთი „ტრუდი“ ხაზს უსვამს ნ. ს. ხრუშჩოვის იმ სიტყვებს, რომ მხოლოდ ხალხებს შეუძლიათ თვიანთი გადამწყვეტი მოქმედებით გზა გადაუღობონ მსოფლიო ომს.

ლიტვის სსრ. მესამე კვირაა კლაიპედის საზღვაო სავაჭრო ნავსადგურში მყუდროებაა. უცხოელთა სავაჭრო ხომალდები რეიდზე დგანან. ლიტველი ნავსადგურის მუშაკები მტკიცედ იცავენ სიტყვას: სანამ დაკმაყოფილებული არ იქნება გაფიცულ ფრანგ მეშახტეთა მოთხოვნები, საფრანგეთის გემებს ქვანახშირით არ დატვირთავენ.

სურათზე: უცხოეთის სავაჭრო გემები კლაიპედის ნავსადგურში.

ფოტო ბ. ალექნავიჩიუსისა. (საკდესის ფოტოქრონიკა).

ჰიუმის

პრეს-კონფერენცია

ტოკიო, 30 მარტი. (საკდესი). იაპონიაში მყოფმა ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლორდმა ჰიუმმა გუშინ პრეს-კონფერენციაზე ინგლისის საელჩოში განაცხადა, რომ იაპონიაში მისი მოგზაურობის მთავარი მიზანია გამოანახოს ინგლის-იაპონის ვაჭრობის გაფართოების გზები.

მან განუცხადა აგრეთვე კორესპონდენტებს, რომ, მისი აზრით, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას უნდა მიეცეს ადგილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. უგუნურებაა უარი ეუთხრათ 600-მილიონიანი მოსახლეობის წარმომადგენელ მთავრობას იმ უფლებაზე, რომ დაიკავოს ადგილი გაერთიანებულ ერების ორგანიზაციაში, თქვა ჰიუმმა.

ლორდმა ჰიუმმა განაცხადა, რომ ინგლისის მთავრობა არ აკრძალავს ინგლისის დიდი დიამეტრის ფოლადის მიღების ექსპორტს რუსეთში.

ჰაროლდ ვილსონის ვიზიტი ვაშინგტონში

ნიუ-იორკი, 30 მარტი. (საკდესი). ვაშინგტონში ჩამოვიდა ინგლისის ლეიბორისტული პარტიის ლიდერი ჰაროლდ ვილსონი. იგი შეხვდება პრეზიდენტ ჯ. კენედის, სახელმწიფო მდივან დ. რასკს, თავდაცვის მინისტრს რ. მაკნამარას, ფინანსთა მინისტრს დ. დილოს და სხვა მაღალი თანამდებობის პირებს.

როგორც პრესა აღნიშნავს, დიდი უკმაყოფილება გამოიწვია ვილსონის იმ სტატვებმა, რომ საჭიროა შეხვლეს დაძაბულობა ცენტრალურ ევროპაში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დე-ფაქტო ცნობის გზით, რომ საჭიროა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას მიეცეს თავისი ადგილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, აგრეთვე მისმა უარყოფიმა დამოკიდებულებამ ინგლისის შესვლისადმი „საერთო ბაზარში“ და „ნასაუს პაქტისადმი“.

პირველად ბირმის ისტორიაში

რანგუნი, 1 აპრილი. (საკდესი). მიმდინარე წელს პირველად დამოუკიდებელი ბირმის მთელ ისტორიაში 1 მაისის დღესასწაული გაიმართება საერთო ეროვნული მასშტაბით.

შეიქმნა მოსამზადებელი კომიტეტი. ამ კომიტეტში შევიდნენ რევოლუციური საბჭოს, მთავრობის წევრები, აგრეთვე მუშების წარმომადგენლები.

ხალხი გაიმარჯვებს

ჰავანა, 1 აპრილი. საკდესის კორესპონდენტი ნ. ჩიგირი იუწყება:

სოციალისტური რევოლუციის ერთიანი პარტიის წევრები, რევოლუციურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები, მატანსასის პროვინციის მუშები, გლეხები, მოსწავლეები გულთბილად შეხვდნენ კუბის რევოლუციური მთავრობის პრემიერ-მინისტრს ფიდელ კასტროს, რომელიც 30 მარტს საღამოს ეწვია მათ მასობრივ მიტინგზე.

პროვინციის დედაქალაქ მატანსასის უდიდეს სპორტულ მოედანზე ათეულ ათასობით მშრომელი შეიკრიბა. ისინი აქ მოვიდნენ იმისათვის, რომ დაედასტურებინათ თავიანთი ურყევი ნება — დაიცვან რევოლუციის მონაპოვრები, თავიანთი უსაზღვრო ერთგულება პარტიისა და რევოლუციური მთავრობისადმი.

იმპერიალისტურმა პროპაგანდამ მიზნად დაისახა შეექმნა კუბის გარშემო სიცარიელე და ცილისწამების კედელი, რათა მსოფლიოს სხვა ხალხებისათვის, უწინარეს ყოვლისა, ლათინური ამერიკის ქვეყნების ხალხებისათვის, დაეშალა სიმართლე კუბაში სოციალისტური მშენებლობის წარმატებათა შესახებ. უკანასკნელ დროს ამერიკული პროპაგანდა ავრცელებს უაზრო მონაჭორებს იმის შესახებ, თითქოს კუბაში „ხალხის მღელვარება იყოს“. ამავე დროს ყველაზე ხშირად იმოწმებენ მატანსასის პროვინციას. ეს შემთხვევითი როდია. სწორედ ამ პროვინციის გადაქცევა გადწყვიტეს

„ჩემი გავლენის შენახვა არ შეეძლია“

ამ თხუთმეტი თვის ბიუროსათვის, რომელიც დედამ კოლუმბიის ფედერალური ოლქის (ამერიკის შეერთებული შტატები) საავადმყოფოს ბანაგშვო განყოფილებაში დატოვა, აღმოჩნდა ბარათი, სადაც ნათქვამი იყო: „მაპატიეთ, რომ იძულებული ვარ აქ დავტოვო ჩემი ბავშვი, მაგრამ სახლი არა მაქვს, და ბავშვს ქუჩაში ხომ ვერ ვამყოფებ. ამიტომ გთხოვთ — იზრუნეთ მისთვის“.

მხოლოდ გამოუვალმა გაჭირვებამ დაატოვებინა დედას თავისი ბავშვი. ეს სურათი, რომელიც მოთავსებულია გაზეთ „ვაშინგტონ პოსტში“ ერთხელ კიდევ ამხილებს მითს ამერიკული ცხოვრების წესის „მშვენიერებათა“ შესახებ.

საკდესის ფოტოქრონიკა.

ტელეგრაფი გვატყობინებს

□ **კოლოგიოს „ვიდიალანკარის“ უნივერსიტეტთან გაიხსნა რუსული ენის შემსწავლელი კურსები.** ცეილონელთა დიდ ინტერესს რუსული ენისადმი ადასტურებს ის ფაქტი, რომ 40 ადგილზე შეტანილი იყო უნივერსიტეტის სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა 300-ზე მეტი განცხადება.

□ **ეკვადორის** პოლიციამ მოაწყო ახალი თავდასხმები კომუნისტური პარტიის შენობებზე ქალაქ გუაიაკილში და კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის აღმასრულებელი კომიტეტის წევრის ალეჯანდრო იდროვოს სახლზე. დაპატიმრებულია 40 კაცი, მათ შორის არიან ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის და „რევოლუციური ახალგაზრდობის კავშირის“ წევრები.

□ **პანამის** თვალსაჩინო პროფკავშირული მოღვაწეები ვირხილიო შუვერი და ბოსე დელ-კარმენ სერასინი დააპატიმრეს.

□ **დელიში** გამოვიდა ახალ ყოველდღიურ გაზეთ „პეტროიტის“ პირველი ნომერი. გაზეთი გამოდის ინგლისურ ენაზე. მისი რედაქტორია ცნობილი ინდოელი ჟურნალისტი ე. ნარაიანი. გაზეთის სარედაქციო სტატიაში ხაზგასმულია, რომ „პეტროიტი“ იდგება დამოუკიდებელი ინდოეთის მონაპოვართა სადარაჯოზე და იბრძოლებს რეაქციის ძალების წინააღმდეგ.

□ **ამერიკის** ორმა ავიაგამანადგურებელმა ამ დღეებში ტყვია დაუშინა სკოლას სამხრეთ ვიეტნამის ტაინინის პროვინციაში. ბანდიტური თავდასხმის დროს დაიხოცა 14 და დაშავდა 17 მოსწავლე. ამერიკელ და ნგოდინდიელმელ მეკობრეთა მხეცობამ პროვინციის მცხოვრებთა დიდი აღშფოთება გამოიწვია.

□ **დანიის** პარლამენტმა მიიღო კანონი დანიის ბიუჯეტის შესახებ 1963-1964 ფინანსური წლისათვის. სამხედრო ხარჯებისათვის მთავრობამ წელს გაიღო 200 მილიონი კრონით მეტი, ვიდრე შარშან.

□ **ნიციდან** დასხლეულთან 25 კილომეტრზე, მთის გზაზე ზვავის ჩამოწოლის შედეგად დაიღუპა ორი და დაშავდა 25 კაცი. ქვა-ღორღის ზვავმა დაფარა გზატკეცილისა და რკინიგზის უბანი პალან-დიუ-ვარის რაიონში.

□ **ქალაქ** გავსის (ტუნისი) რაიონში იყო ძლიერი წვიმები, რასაც წინ უძღოდა ქვიშის ქარიშხალი. მთლიანად დაინგრა 366 სახლი, ხოლო 600-ზე მეტი დაზიანდა, განადგურდა 2 ათასი პალმა და 40 პროცენტიდან 80 პროცენტამდე ბოსტნეულის კულტურები.

საბჭოთა კოსმონავტები რიო-დე-ჟანეიროში

რიო-დე-ჟანეიროს, 30 მარტი. (საკდესი). გუშინ „ტუ-114“ თვითმფრინავით სან-პაულოდან აქ ჩამოვიდნენ საბჭოთა კოსმონავტები ა. გ. ნიკოლაევი და პ. რ. პოპოვიჩი, რომლებიც ოფიციალურ ვიზიტად იმყოფებიან ბრაზილიაში. რიო-დე-ჟანეიროში, სადაც გაიმართება შეხვედრები საზოგადოებრიობასთან, კოსმონავტები დაპატიჟეს 5 აპრილამდე, რის შემდეგ სამშობლოში დაბრუნდებიან.

კონგრესმა მუშაობა დაამთავრა

რიო-დე-ჟანეიროს, 31 მარტი. საკდესის სპეციალური კორესპონდენტი ე. ელმოვი იტყობინება: 30 მარტს, ღამით, რიო-დე-ჟანეიროს შტატის დედაქალაქ ნიტეროიში დამთავრდა ლათინური ამერიკის ქვეყნების კუბასთან სოლიდარობის კონგრესი. რომელიც სამ დღეს მიმდინარეობდა. კონგრესმა მიიღო „მიმართვა ამერიკის ხალხებისადმი“, რომელსაც ეწოდა „ნიტეროის დეკლარაცია“.

კონგრესმა გამოიტანა გადაწყვეტილება, რომ შეიქმნას კუბასთან სოლიდარობის კონტინენტური კომიტეტი. მოეწყოს ამერიკისა და მთელი მსოფლიოს ქვეყნებში კუბასთან სოლიდარობის მანიფესტაციები მიმდინარე წლის 19 აპრილიდან 25 აპრილამდე და 15 ივლისიდან 30 ივლისამდე. გადაწყვეტილია აგრეთვე, გაიმართოს ლათინური ამერიკის ქვეყნების კუბასთან სოლიდარობის მეორე კონგრესი, რომლის თარიღი მოგვიანებით გამოცხადდება.

ბჰილაის პირველი რეკორდები

დელი, 1 აპრილი. (საკდესი). საბჭოთა კავშირის დამბარებით ინდოეთში აშენდა ბჰილაის მეტალურგიული ქარხანა. ინდოეთის პირველი მეტალურგიული საწარმო, რომელმაც მიაღწია სრულ საწარმოო სიმძლავრეს, აღნიშნული ოფიციალურ ცნობაში ქარხნის მიერ 1962-1963 საფინანსო წლის გეგმის შესრულების შესახებ.

ბჰილაის ქარხანამ სამი ახალი რეკორდი დაამყარა, წერს დღეს გაზეთი „პატრიოტი“; ფოლადის გამოშვების გეგმა შესრულებულია 10 მარტისათვის — ვადაზე სამი კვირით ადრე, თუკინა — 12, ხოლო ნაგლინისა — 20 მარტისათვის. ქარხნის მიერ საწარმოო გეგმის შესრულების საერთო მაჩვენებელმა უკანასკნელ საფინანსო წელს 106 პროცენტი შეადგინა. ქარხანამ გამოადნო ათობით ტონა ზეკეგმოთი პროდუქცია.

შარშან, როგორც ინდოეთის პრესა იუწყება, ბჰილაის ბლუმინგმა მილიონი ტონა ფოლადის ნაგლინი გამოუშვა.

მაკმილანი თავს იმართლებს

ლონდონი, 30 მარტი. (საკდესი). ინგლისის პრემიერ-მინისტრმა ჰაროლდ მაკმილანმა სიტყვა წარმოთქვა ბრომლიში (კენტის საგრაფო) თავის საარჩევნო ოლქში კონსერვატორთა ადგილობრივი ასოციაციის საერთო კრებაზე და მოუწოდა ამომრჩევლებს მხარი დაუჭირონ მთავრობის პოლიტიკას.

თავდაცვის საკითხებს რომ შეეხო, მაკმილანმა ყოველთვიურად გაამართლა კონსერვატორთა არაპოპულარული პოლიტიკა, რომლებიც დაინებით მოითხოვენ ინგლისის აქტიურ მონაწილეობას ნატოს ატომური დამკვრელი ძალების შექმნაში. მაკმილანი ამტკიცებდა, რომ ახლა, როცა მთელი მსოფლიოს მშვიდობა დამოკიდებულია ატომურ ძალთა წონასწორობაზე, ინგლისი და დასავლეთის დანარჩენი ქვეყნები შეიარაღებული უნდა იყვნენ. მან გააკრიტიკა ლეიბორისტული და ლიბერალური პარტიების კურსი, რომლებიც მოითხოვენ, რომ ინგლისმა უარი თქვას ატომურ შემაკავებელ საშუალებაზე.

როცა საშინაო პოლიტიკის საკითხებზე ილაპარაკა, მაკმილანი შეეცადა დაეხატა ინგლისის ეკონომიური მდგომარეობის სასიხარულო სურათი. მაგრამ მაკმილანი იძულებული გახდა ეღიარებინა, რომ „ახლა“ გეგმისაშენებელი და ფოლადსადნობი მრეწველობა და ეკონომიკის ზოგიერთი სხვა დარგი „განიცდიან რაღაც სიძნელეებს“.

პრემიერ-მინისტრმა მხარი დაუჭირა ინგლისის რკინიგზის ტრანსპორტის შეკვეცის გეგმას, რომელსაც უმუშევრობა მოაქვს ათეულ ათასობით ინგლისელი რკინიგზელისათვის.

მაკმილანმა გადაკვრით აღიარა, რომ შესუსტდა კონსერვატორთა პოზიციები ინგლისში, და შეშფოთება გამოთქვა ლიბერალური პარტიის გაძლიერების გამო. მან აღნიშნა, რომ ხმების უმრავლესობა, რაც ლიბერალური პარტიის კანდიდატებმა მიიღეს, მათ კონსერვატორებს წართვეს.

ატომური განიარაღების ასობით მომხრე მივიდა შენობასთან, სადაც სიტყვას წარმოთქვამდა მაკმილანი, რათა გაენეცხადებინა პროტესტი გაძალებული ატომური შეიარაღების პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელსაც ინგლისის მთავრობა ახორციელებს. ისინი გარს შემოერტყნენ მაკმილანის მანქანას, აქანავებდნენ და მუშტს სცემდნენ მას, რითაც გამოხატავდნენ თავიანთ აღშფოთებას.

პოლიციელთა გაძლიერებულმა რაზმებმა ძლივს გაუკაფეს გზა პრემიერ-მინისტრის მანქანას.

ელიზაბეტ ჰარლი ფლინის პატივსაცემად

ნიუ-იორკი, 30 მარტი. (საკდესი). 29 მარტს საღამოს დაახლოებით ხუთასი ამერიკელი შეიკრიბა, რათა პატივი ეცა ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის თავლსაჩინო მოღვაწის ელიზაბეტ ჰარლი ფლინისათვის იმასთან დაკავშირებით, რომ გამოვიდა მისი წიგნი „მოთხრობა ოლდერსონზე“. ამ ამაღლებულ მოთხრობაში აღწერილია ფლინის ყოფნა ოლდერსონის (დასავლეთ ვირჯინია) ჭალთა ფედერალურ საპყრობილეში, სადაც იგი იმყოფებოდა როგორც პოლიტიკური პატიმარი.

მიტინგზე გამოვლინდა ღრმა პატივისცემა, რომლითაც გამსჭვალული არიან ამერიკის მოსახლეობის ფართო წრეები ელიზაბეტ ჰარლი ფლინისადმი. იმათ შორის, ვინც სიტყვები წარმოთქვა, იყვნენ არა მარტო კომუნისტები, არამედ ის პირებიც, რომლებიც თუმცა არ იზიარებენ ფლინის პოლიტიკურ შეხედულებებს, მაგრამ მადლიერებით აღნიშნეს მამაცი ქალის დიდი წვლილი უკეთესი ამერიკისათვის ბრძოლაში.

ელიზაბეტ ჰარლი ფლინის სახელს ამერიკის ბევრი რაიონიდან და სხვა ქვეყნებიდან მოვიდა მისასალმებელი დეპეშები.

დარბაზობა და მიტინგი ფლინის პატივსაცემად გაიმართა ნიუ-იორკის ცენტრში, სასტუმრო „ბელმონტ-პლაზაში“. სასტუმროს ადმინისტრაცია შეეცადა გაეუქმებინა ამ მიტინგისათვის სასტუმროს დარბაზის გამოყენების შესახებ დადებული ხელშეკრულება იმ საფუძველზე, რომ ამერიკის ნაცისტურ პარტიას განზრახული ჰქონდა დაეყენებინა მოპიკეტები და მოეწყო დემონსტრაცია სასტუმროსთან, „რასაც შეეძლო გამოეწვია არეულობა“, მაგრამ გამომცემლობა „ინტერნეიშნლ პაბლიშერსმა“, რომელმაც გამოუშვა წიგნი „მოთხრობა ოლდერსონზე“, რამდენიმე სამოქალაქო ორგანიზაციის მხარდაჭერით გადასცა ეს საქმე სასამართლოს. ცოტაოდენი გაჭიანურების შემდეგ სასამართლომ მისწერა სასტუმროს ადმინისტრაციას შეესრულებინა ხელშეკრულება.

მიტინგის დროს მხოლოდ რამდენიმე ნაცისტი გამოჩნდა სასტუმროს მახლობლად, მაგრამ მათ არავინ არ დაუჭირა მხარი.

თავის სიტყვაში ფლინმა მადლობა გადუხადა მიტინგის მონაწილეებს და თქვა, რომ „ფაშისტებს ცოტა მეგობარი ყავთ ამერიკის შეერთებულ შტატებში“.

დაუსაგუთებელი მოსაზრება

პარიზი, 30 მარტი. (საკდესი). დისკრიმინაცია, რომელსაც ამერიკელები ახორციელებენ გაჭრობაში, დაკავშირებული არ არის კომერციულ მოსაზრებებთან, ეს არის ცივი ომის ერთ-ერთი ფორმა, აცხადებს დღეს „ლუმანიტე“. გაზეთი აღნიშნავს, თუ რა ზეგავლენას ახდენენ სხვა სახელმწიფოებზე ამერიკის შეერთებული შტატები, რომლებსაც სურთ ხელი შეუშალონ მილების მიწოდებას საბჭოთა კავშირისათვის.

ამერიკელებმა, აღნიშნავს გაზეთი, გამოთქვეს სასაცილო მოსაზრება. ისინი ამტკიცებენ თითქოს ეს მილები სტრატეგიული მასალები იყოს.

კომუნისტი

მე-8 გვერდი, სამშაბათი,

8 აპრილი, 1963 წ.

ქალის პოლიტიკის გეზი

ლონდონი, 30 მარტი. (საკდესი). შეერთებული შტატების მთავარმა წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ედლაი სტივენსონმა გუშინ ლონდონში გამართა პრეს-კონფერენცია ინგლისელი და უცხოელი ჟურნალისტებისათვის.

სტივენსონი, რომელიც ამჟამად მოგზაურობს დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, ოთხშაბათს ჩამოვიდა ლონდონში. იგი ორშაბათს განაგრძობს თავის ტურნეს, როცა ბრიუსელს გაემგზავრება. სტივენსონმა განაცხადა, რომ ლონდონში შეხვდა პრემიერ-მინისტრ ჰ. მაკმილანსა და ინგლისის მთავრობის სხვა წევრებს. ამ შეხვედრების დროს განიხილეს ისეთი საკითხები, როგორიცაა ნატოს ატომური ძალების შექმნა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობა და სხვ.

სტივენსონმა მთავარი ყურადღება დაუთმო ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის განმტკიცებასთან დაკავშირებულ საკითხებზე. ამასთან დაკავშირებით მან დაიცვა ნატოს მძლავრი ატომური ძალების შექმნის იდეა.

სტივენსონმა არსებითად თავი აარიდა პასუხს კორესპონდენტთა კითხვებზე, გაზიარებული აქვთ თუ არა ამერიკის შეერთებულ შტატებს გადადგან ახალი ნაბიჯები ჟენევაში, რათა მიღწეულ იქნეს ხელშეკრულება ატომური იარაღის აკრძალვის შესახებ.

მიწისძვრა ირანში

თეირანი, 1 აპრილი. (საკდესი). გუშინ ირანის ჩრდილო-აღმოსავლეთ რაიონში მოხდა მიწისძვრა. მთლიანად დაინგრა სოფელი შენდოკანი, რომელიც მდებარეობს ქალაქებს საბზევარსა და ისპაჰანს შორის. წითელი ლომისა და მზის საზოგადოების განყოფილების მონაცემებით, დაშავდა 19 კაცი. მიწისძვრამ დიდი მატერიალური ზარალი გამოიწვია.

ბენ ბელას გამოსვლა

ალჟირი, 30 მარტი. (საკდესი). ალჟირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ბენ ბელამ განაცხადა, რომ ალჟირის მთავრობამ გამოსცა დიდმნიშვნელოვანი დეკრეტი, რომელიც განსაზღვრავს სამრეწველო საწარმოების, შახტების, შინამრეწველობის საწარმოებისა და სასოფლო-სამეურნეო ფერმების მართვის ორგანიზაციას.

„წინანდელ მეპატრონეებს, — თქვა ბენ ბელამ რადიოთი და ტელევიზიით გამოსვლის დროს, — სურდათ თავიანთი წასვლა გამოეყენებინათ საბოტაჟის იარაღად, ისინი ცდილობდნენ ჩაეფუშავთ დამოუკიდებელი ალჟირის ეკონომიური განვითარების გეგმები“.

„სამრეწველო კომერციული, თუ ფინანსური პოოფილის ყველა საწარმო და დაწესებულება, აგრეთვე შახტები, სასოფლო-სამეურნეო ფერმები, შენობები, საცხოვრებელი სახლები, ბინები, რომლებიც 1963 წლის 22 მარტისათვის რეგისტრირებული როგორც პატრონებისაგან მიტოვებული, განაგრძობდა ბენ ბელა, ახლა ითვლება „უპატრონო ქონებად“ და მათი მართვა ერთხელ და სამუდამოდ გადაეცა ალჟირის მშრომელებს.

ამ ეერიდან, განაცხადა პრემიერ-მინისტრმა, ამ საწარმოთა და დაწესებულებათა მართვას განახორციელებს თვით ხალხი.

შემდეგ პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ მომავალში მშრომელები თვითონ გამოიტანენ ხოლმე გადაწყვეტილებას, თუ როგორ განაკითარონ საწარმო ეროვნული გეგმის ფარგლებში.

დასასრულ, ბენ ბელამ მიმართა ხალხს და მოუწოდა მხარი დაუჭიროს მთავრობის გადაწყვეტილებას.

სამხედრო გადატრიალება გვატემალაში

ნიუ-იორკი, 31 მარტი. (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის სააგენტო იუწყება, გვატემალაში მოხდა სამხედრო გადატრიალება. არმიამ გვატემალის პრეზიდენტის თანამდებობიდან გადააყენა იდიგორას ფუენტესი. მთავრობას სათავეში ჩაუდგა თავდაცვის მინისტრი პერალტა ასურდია. გვატემალაში შეჩერებულია კონსტიტუციური გარანტიები.

პარიზისა და გონის ურთიერთობა

პარიზი, 1 აპრილი. (საკდესი). „ბონი ლაპარაკობს საფრანგეთის სახელით“ — ასეთი სათაურით გამოაქვეყნა დღეს გაზეთმა „ლუმანიტემ“ ივ მორის სტატია, რომელიც განმარტავს საფრანგეთისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობების პასუხს საბჭოთა მთავრობის 5 თებერვლის ნოტაზე. ამ ნოტაში მხილებულია საფრანგეთისა და დასავლეთ გერმანიის მმართველი წრეების საშიში სამხედრო-პოლიტიკური შეთანხმება.

ავტორი, კერძოდ, აღნიშნავს, რომ ჯერ კიდევ ერთი დღით ადრე, სანამ საფრანგეთის მთავრობის პასუხი გადაეცემოდა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრს, ბონის ოფიციალურმა წარმომადგენელმა განაცხადა, რომ საფრანგეთი ამ ნოტაზე უპასუხებს „ისევე“, როგორც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა.

განის შვიდწლიანი გეგმა

აკრა, 1 აპრილი. (საკდესი). განის რესპუბლიკის მთავრობამ შეიმუშავა თავისი ქვეყნის ეკონომიური განვითარების შვიდწლიანი გეგმა. ახალი გეგმის თანახმად, რომლის საბოლოო ვარიანტი მოგვიანებით დამტკიცდება და რომლის განხორციელება დაიწყება 1963 წლის 1 ოქტომბრიდან, მთავრობის კაპიტალური დაბანდება იქნება განის ეკონომიური განვითარების საფუძველი.

გეგმაში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ განამ „თავისი სოციალური და ეკონომიური განვითარების მიზნად აირჩია საზოგადოების სოციალისტური ფორმა“ სოციალიზმზე გადასვლის გარდამავალ პერიოდში. აღნიშნულია გეგმაში, განის ეკონომიკა იქნება განის ეკონომიური განვითარების საფუძველი.

გეგმაში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ განამ „ეკონომიური ბიუროკრატია“ ამ ეტაპზე ვერ ასრულებს ეროვნული ბურჟუაზიის ფუნქციებს. ეს ეტაპი ხასიათდება ეროვნული ბურჟუაზიის ეკონომიური ძალაუფლებისა და ეროვნული ბურჟუაზიის ეკონომიური ინტერესების ზრდით.

გრიგოლ პავლეს-ძე შონია

ხანმოკლე, მძიმე ავადმყოფობის შედეგად გარდაიცვალა საკოლმეურნეო წარმოების ნიჭიერი ორგანიზატორი, ცხაკაიას რაიონის სოფელ ფოცხოს კოლმეურნეობის თავმჯდომარე გრიგოლ პავლეს-ძე შონია.

გ. პ. შონია ეკუთვნოდა იმ მუშაკთა რიცხვს, რომლებიც პარტიის მოწოდების პასუხად სათავეში ჩაუდგნენ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების ზრდის დიდ საქმეს და საუკეთესო შედეგებს მიაღწიეს. 23 წელიწადს იგი უცვლელად მეთაურობდა სოფელ ფოცხოს კოლმეურნეობას და სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე დაუღალავად იღვწოდა საკოლმეურნეო წარმოების განვითარებისათვის.

გრიგოლ პავლეს-ძე შონია დაიბადა 1906 წელს ღარიბი გლეხის ოჯახში. 1926 წელს საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ აქტიურად ჩაება შრომაში, თან იმაღლებდა ცოდნას უმაღლეს სასწავლებელში. 1939 წლამდე იყო ქვემო ფოცხოს სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე, შემდეგ დირექტორი. 1941 წლის ივნისში თანასოფლელებმა ერთსულოვნად აირჩიეს კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარედ. ჩამორჩენილი არტელი მისი ხელმძღვანელობით მოწინავე კოლმეურნეობა გახდა, სოფელი ფოცხო გადაიქცა ერთ-ერთ ლამაზ, შეძლებულ სოფლად.

გ. პ. შონია აქტიურ პარტიულ და საზოგადოებრივ მუშაობას ეწეოდა. იყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის დელეგატი, საქართველოს სსრ წინა მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, უკანასკნელად ცხაკაიას კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის წევრი, რაიონული საბჭოს დეპუტატი.

გ. პ. შონია დაჯილდოებული იყო შრომის წითელი დროშის ორი ორდენით, „საპატიო ნიშნის“ ორდენით და მედლებით.

გ. პ. შონია იყო თავმდაბალი, გულისხმიერი, უაღრესად პრინციპული, დაუღალავად შრომისმოყვარე, კრისტალურად პატიოსანი ადამიანი. მთელი თავისი ცხოვრება მოანდომა კომუნისტური პარტიის საქმეს.

მისი ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება ჩვენს გულში.

ამხანაგების ჯგუფი.

ჩინებული სტარტი

გასულ კვირადღეს საბჭოთა კავშირის სამხრეთ ქალაქებში ჩვენი ქვეყნის ფეხბურთის XXV საიუბილეო ჩემპიონატის სტარტზე გამოვიდნენ „ა“ კლასის უძლიერესი გუნდები.

დადგა ფეხბურთის ხანა, იმედებითა და გულგატეხით, გამარჯვებებითა და დამარცხებებით, სიხარულითა და გულისტკენით აღსავსე ხანა. აგუგუნდა სტადიონების ტრიბუნები. ფეხბურთის მოლიონობით მაყურებელნი მიუსხდნენ ტელევიზორებსა და რადიომიმღებებს და მდელვარებით განიცდიან თამაშის პერიპეტიებს.

თბილისში „დინამოს“ სტადიონზე სეზონი გახსნეს საქართველოს დედაქალაქის დინამოელებმა და ლენინგრადის ზენიტელებმა. სეზონის გახსნის საზეიმო ცერემონიის შემდეგ გუნდები მოედანზე გამოვიდნენ.

აი მათი შემადგენლობა:

„ზენიტი“ (ლენინგრადი) — ვოსტროილოვი. — ალამი, სოვეიკო, პანჩეხინი, დანილოვი; —. დერგაჩოვი, ზავიდონოვი; — ვასილიევი, რიაზანოვი, ხრაპოვიცკი (ცროტკოვი), ბურჩალკინი.

„დინამო“ (თბილისი) — კოტრიკაძე. — ბ. სიჭინავა, ხურცილავა, ჩოხელი, ზეინკლიშვილი; — ხელაძე (დათუნაშვილი), პეტრიაშვილი; — მეტრეველი, კალოევი, იამანიძე, მესხი (შემადგენლობა მოცემულია 1-4-2-4 სისტემის მიხედვით.

მატჩის მსაჯი — ს. ალიმოვი (მოსკოვი).

დინამოელებმა თავიდანვე ხელი იგდეს ინიციატივა და იერიშები მიიტანეს. ლენინგრადელთა მთელი გუნდი თავდაცვაზე გადავიდა. ეს იყო მათი პირველი შეცდომა მატჩში. ცდილობდნენ რა შეეკავებინათ მასპინძელთა შეტევა, ისინი ზოგიერთ შემთხვევაში აღლვივდნენ თამაშის წესებს (მეორე შეცდომა).

მე-13 წუთზე მესხმა საჯარიმო დაარტყა და ვოსტროილოვმა იოლი ბურთი გაუშვა. ლენინგრადელებმა რამდენადმე გამოასწორეს თამაში, მაგრამ მათს მოქმედებაში დიდხანს არ ჩანდა სიმძაფრე, კოტრიკაძეს იშვიათად უხდებოდა თამაშში ჩაბმა.

ვერც თბილისელთა იერიშები იყო მაინცდამაინც მძაფრი, მაგრამ მათი საერთო შეტევა მოწინააღმდეგის თავდაცვაზე ქმნიდა პოტენციურ საფრთხეს.

36-ე წუთზე „ზენიტმა“, ბოლოს, შექმნა რეალური საფრთხე. მაგრამ ვასილიევის (№ 7) დარტყმა კარის ძელმა უკუაგდო. ტაიმის ბოლოს ბურჩალკინმა ბურთი „მოპარა“ ერთ-ერთ მცველს და ახლო მანძილიდან დაარტყა, კოტრიკაძემ მხოლოდ ხელმეორე ნახტომის დროს შეძლო ბურთის „გამოტანა“ კარის ხაზიდან. შესვენებამდე ერთი წუთით ადრე თბილისელებმა კვლავ გამოიყენეს საჯარიმო დარტყმა, და იამანიძემ ანგარაში გაზარდა — 2 : 0. თამაშის 52-ე და 69-ე წუთებმა კვლავ წარმატება მოუტანა დინამოელებს. ანგარიში გაორკეცდა მეტრეველ-იამანიძის ჩინებული კომბინაციისა და პეტრიაშვილის შორი მანძილიდან დარტყმის შედეგად.

4:0 — დამაჯერებელი გამარჯვებაა.

მაგრამ პირველი მატჩი და შედეგები ჯერ კიდევ არავის არ აძლევს უფლებას გაიკეთოს შორს გაანგარიშებული დასკვნები და იმსჯელოს გუნდების მომზადების ხარისხზე, გამოთქვას ოპტიმისტური თუ პესიმისტური პროგნოზები.

პირველობის გათამაშების პირველ ეტაპზე, როგორც წესი, გადამწყვეტია ფეხბურთელთა მორალურ-ნებისყოფითი და ფიზიკური მომზადების ფაქტორები, რომელთა დონით მეტი წილი გუნდები ერთმანეთთან ახლოს დგანან. თითქმის მთელი სეზონის მანძილზე მუდმივად მოქმედი ფაქტორები, როგორიც არის ტექნიკა და ტაქტიკა, „მწყობრში დგება“ უფრო გვიან. ხოლო სწორედ ეს ფაქტორები ბევრად განსაზღვრავენ გუნდების სტაბილურ თამაშს, მათს კლასსა და შედეგებს.

მაგრამ განვლილი მატჩი სხვა ფიქრებსაც იწვევს, ვინაიდან მეტისმეტად შესამჩნევი იყო განსხვავება გუნდების თამაშის ტაქტიკაში, რომლებიც ერთი და იმავე 1-4-2-4 სისტემის ფარგლებში მოქმედებდნენ.

სასიხარულოა, რომ პირველობის ადრინდელ ეტაპზევე, უკვე პირველ მატჩში თბილისელებმა გვიჩვენეს მრავალმხრივი საფეხბურთო მომზადება, კერძოდ, უფრო გამართული თამაში ტაქტიკის თვალსაზრისით. დინამოელთა თავდაცვის სიმტკიცე უზრუნველყოფილი იყო უწინარეს ყოვლისა ორი ცენტრალური მცველის — ხურცილავასა და ჩოხელის შედარებით მკაფიო და ზუსტი თამაშით. ისინი ერთ პლანში მოქმედებდნენ, საკმაოდ კარგად ჩაკეტეს გზა მთავარი მიმართულებით და ნახევარმცველთა დახმარებით შებოჭეს „ზენიტის“ ცენტრალური თავდამსხმელები — რიაზანოვი და ხრაპოვიცკი.

თბილისელი თავდამსხმელები (გარდა იამანიძისა) აქტიურ მონაწილეობას არ იღებდნენ თავიანთი კარის დაცვაში, ზოგავდნენ ძალებს ტემპიანი კონტრიერიშებისათვის. უდაოდ მოწონების ღირსია გარემარბების მესხისა და მეტრეველის თამაში. ფლანგებზე ენერგიული მოქმედებით მათ არა მარტო მიიპყრეს თავიანთ მეტოქეთა ყურადღება, არამედ საკმაოდ ხშირად გამარჯვებული გამოდიოდნენ დუელში თავიანთ „დარაჯებთან“ — ალამთან (№ 2) და დანილოვთან (№5). ორივე ფრთამ მაღალი შეფასება დიმსახურა თავისი გამოსვლებით. ეფექტური თამაში გვიჩვენა (განსაკუთრებით მეორე ტაიმში) მეტრეველმა, რომელიც თამაშობდა ორი პლანით — ინდივიდუალურითა და კომბინაციურით. მისი თამაში მარტივი, მაგრამ სასარგებლო იყო. მეტრეველი კარგად შეეწყო „დინამოს“ გუნდს. დინამოელები უფრო ძლიერი იქნებიან ფლანგებზე.

საინტერესოა ის ამპლუაც, რომელშიც გამოდიოდა იამანიძე. იგი ფართო დიაპაზონით. მწვავედ და სასარგებლოდ მოქმედებდა იერიშშიც და თავდაცვაშიც.

თბილისელთა იერიშების ორგანიზაციასა და განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი ეკუთვნით მცველებს, რომლებმაც მკვეთრად შეამცირეს მარტივი უკუგდებითი გადაცემის ხვედრითი წონა, ცდილობენ მისამართით გადასცენ ბურთები. გარემცველებს წარმატებით აუთვისებიათ იერიშში ჩაბმის მეთოდი.

საერთოდ. დინამოელთა თამაშმა დადებითი შთაბეჭდილება დატოვა. განსაკუთრებით სასიხარულოა, რომ გუნდი თამაშობს კომბინაციურად და ინარჩუნებს თამაშის თავის დამახასიათებელ სტილს.

დინამოელთა წარმატებას ხელი შეუწყო თამაშში გაძლიერებულმა დისციპლინამაც, ფეხბურთელების კარგმა მორალურმა განწყობილებამ, მეგობრულმა ტონმა კოლექტივში.

ზენიტელების ტაქტიკა თავისი მიმართულებითა და შინაარსით მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა „დინამოსგან“. ლენინგრადელები დიდ ყურადღებას აქცევდნენ თავიანთი კარის დაცვას. ამას მოწმობდა მოთამაშეთა არა მარტო მოქმედება, არამედ ფსიქოლოგიური განწყობილებაც. ნახევარმცველმა დერგაჩოვმა მეტი წილი დრო თავდაცვაში გაატარა თავის „სამეურვეოსთან“ (იამანიძე) ბრძოლაში. უკლებლივ ყველა თავდამსხმელი ძალიან აქტიურ მონაწილეობას იღებდა კარის დაცვაში, უკანდაწეული იყო თავდაცვის ხიღრმეში.

ეს იყო იმის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, რომ ლენინგრადელთა იერიშები ეფექტური არ იყო.

მთლიანად მატჩმა, მისმა შინაარსმა, თამაშის ტემპმა გარკვეული შთაბეჭდილება მოახდინა. ამავე დროს ორივე გუნდის ფეხბურთელთა მომზადებასა და თამაშში არის ხარვეზები ფეხბურთის სხვადასხვა კომპონენტის მხრივ. ამ ხარვეზების გამოსწორება ხელს შეუწყობს მოთამაშეთა „სპორტული ფორმის“ ამაღლებას და მატჩების ხარისხის გაუმჯობესებას.

გ. კაჩალინი.

სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი.

* * *

დიდი სპორტული ზეიმი დამთავრდა. მოედანზე არიან მეტოქენი. ზევითა სურათზე თქვენ ხედავთ მსოფლიოს ჩემპიონს ქალთა შორის ჟადოკინა ნ. გაფრინდაშვილს (მარჯვნივ — გუნდის კაპიტანი შ. იამანიძე, მარცხნივ სპორტის დამსახურებული ოსტატი ზ. კალოევი), რომელსაც პირველობის გახსნის აღსანიშნავად ბურთი მოძრაობაში მოყავს. ქვევითა სურათზე ნაჩვენებია „ზენიტისა“ და „დინამოს“ მატჩის ერთ-ერთი მომენტი. აქ ნათლად სჩანს, თუ როგორ თავისუფლად არის გასული თბილისელთა მარჯვენა გარემარბი ზ. მეტრეველი მოწინააღმდეგის ორ მცველში.

ფოტო ვლ. გინზბურგისა და გ. გოგოხიასი.

ᲞᲔᲢᲠᲝᲡᲘᲐᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲡᲐᲒᲔᲒ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐᲨᲘ

ᲕᲘᲜ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲩᲔᲛᲘ

მ ო ს კ ო ვ ი, 1 აპრილი. (ტელეფონით, სპეც. კორ.). მე დღეს რამდენადმე შეეფერხდი სახლში და პირველი სვლები ტელეფონით შევიტყვე. „შეგიძლიათ არც მოხვიდეთ, მალე მეტოქენი ყიამზე შეთანხმდებიან“ — შემატყობინეს სატურნირო დარბაზიდან. გულმა მაინც არ მომითმინა და წავედი უკანასკნელი სვლების საყურებლად.

თითქოს მართლაც ყიაში იყო მოსალოდნელი, მაგრამ დღეს ტ. პეტროსიანი არც კი ფიქრობდა ზავზე.

დებიუტის შემდეგ არ იყო მოსალოდნელი დიდი გართულებები. ბოტვინიკმა გრიუნფელდის დაცვა აირჩია. პეტროსიანს არც კი უცდია ამ დებიუტის უარყოფა და მანევრულ ბრძოლას შეუდგა. მაგრამ თავიდანვე მოგებისაკენ ისწრაფოდა. მალე ლაზიერებიც გაიცალა. თუმცა სიმწვავე არ დამცხრალა. როდესაც დაფაზე ენდშპილი შეიქმნა. ბოტვინიკმა კარგად ვერ გაითვალისწინა, თუ რა საშიშროება მოელოდა. შემდეგ ნოსოფლოს ჩემპიონმა გაუფრთხილებლად ითამაშა და მისი მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა. ბოტვინიკის პაიკი, როგორც „მზეერავი ჯარისკაცი“ გარსშემორტყმულ და მოსპობილ იქნა. . მაშინ მსოფლიოს ჩემპიონმა მკვეთრად გაამწვავა ბრძოლა და შესაძლოა, მდგომარეობასაც იხსნიდა. პეტროსიანს რომ სიძუნწე გამოეჩინა და პაიკის შენარჩუნებაზე ეფიქრა, მაგრამ პრეტენდენტი სწორად მოიქცა. მან მეტოქეს პაიკი დაუბრუნა და სამაგიეროდ მეფით სახიფათოდ შეიერა შაგების განლაგებაში.

40 სვლის შემდეგ პარტია გადაიდო ასეთ პოზიციაში: თეთრები — პეტროსიანი — მფ g^7, ე c^6, მ e^4, პ-ი a^4, b^5, e^3, f^2, g^3; შავები — ბოტვინიკი — მფ d^7, ე h^1, კ e^7, პ-ი a^7, b^6, e^5, g^6, h^7.

პეტროსიანმა ჩაიწერა 41-ე სვლა.

ა. კოტოვი,
გროსმაისტერი.

ᲛᲐᲢᲩᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ

გასულ კვირადღეს ჩვენი ქვეყნის ათ ქალაქში საზეიმოდ გაიხსნა საკავშირო XXV საიუბილეო ჩემპიონატი ფეხბურთში ოცი უძლიერესი კოლექტივის მონაწილეობით.

აი მატჩების შედეგები:

ᲗᲘᲤᲚᲘᲡᲘᲡ და კიევის დინამოელთა ასპარეზობა კრასნოდარში შედგა. მეტოქეს ოთხ გოლს მიხსკელებმა მხოლოდ ერთი ბურთით უპასუხეს. კიევის „დინამომ“ პირველი. ორი ქულა ჩაიწერა, გაიმარჯვა 4 : 1.

ᲓᲝᲜᲘᲡ როსტოვში გასული წლის პრიზიორი მოსკოვის. „დინამო“ შეხვდა არმიის სასპორტო კლუბის ფეხბურთელებს. მიუხედავად დაძაბული ბრძოლისა ვერც ერთმა მხარემ ვერ შეძლო გოლის გატანა და მატჩი ფრედ — 0 : 0 დამთავრდა.

ᲪᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ „პახტაკორისა“ და სსრ კავშირის თასის მფლობელის დონეცკის „შახტიორის“ მატჩის ბედი გადწყვიტა ერთადერთმა ბურთმა. რომელიც დონეცელებმა მეტოქის კარში გაიტანეს.

ᲑᲐᲠᲙᲝᲕᲘᲡ „ავანგარდისა“ და სსრ კავშირის ჩემპიონის მოსკოვის „სპარტაკის“ შეჯიბრება შედგა ხერსონში. სპარტაკელებმა შეხვედრა მაღალ სპორტულ დონეზე ჩაატარეს და გაიმარჯვეს ანგარიშით 4 : 1.

ᲔᲠᲔᲕᲜᲘᲡ „არარატი“ საკუთარ მოედანზე თამაშობდა მოსკოვის „ტორპედოს“ წინააღმდეგ. ორპედოელთა მიერ მოწინააღმდეგის კარში გატანილი ბურთი ერთადერთი აღმოჩნდა.

ᲛᲐᲢᲩᲘ ბაქოში ადგილობრივი „ნეფტიანიკისა“ და არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის გუნდებს შორის დამთავრა ცხა-ს გამარჯვებით 1 : 0.

ᲙᲘᲨᲘᲜᲘᲝᲕᲨᲘ თამაშობდნენ მოსკოვის „ლოკომოტივისა“ და კიშინიოვის „მოლდოვას“ გუნდები. ამ შეხვედრაში ფიქსირებულ იქნა ფრე — 0 : 0.

ᲐᲚᲛᲐ-ᲐᲢᲘᲡ „კირატმა“ საკუთარ მოედანზე დამამარცხა ლენინგრადის „დინამო“ 2 : 0.

ᲒᲐᲛᲝᲣᲧᲔᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲞᲔᲜᲐᲚᲢᲘ

31 მარტს ქუთაისის ცენტრალურ სტადიონზე საზეიმოდ გაიხსნა საიუბილეო ჩემპიონატი ფეხბურთში. თამამობდნენ ადგილობრივი „ტორპედოსა“ და კუიბიშევის „კრილია სოვეტოვის“ გუნდები. პირველი ტაიმი დამთავრდა სტუმართა სასარგებლოდ 1:0. მეორე ნახევარში ხაჟალიამ გაათანაბრა ანგარიში, მაგრამ მანვე ბოლო წუთებში ვერ გაგზიოიყენა თერთმეტმეტრიანი საჯარიმო დარტყმა და გამარჯვების რეალური შანსები დაკარგა.

მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1.

ᲠᲐ ᲕᲘᲪᲘᲗ, ᲠᲐ ᲓᲐᲕᲘᲡᲔᲜᲘᲗ

8 აპრილი

პირველი პროგრამით

06.40 — ქართული ლაშქრული და მხედრული სიმღერები, 08.30 — ნაწყვეტები დელიბის ოპერებიდან, 09.10 — ა. შაევრაშვილი. კონცერტი ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის, 10.30 — „ლაბარაკობენ ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკები“, 10.45 — ს. ციხაძე. პიესები ჩელოსათვის, 11.15—პროკოფიევი. მეხუთე სიმფონია, 12.00 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის ციკლიდან—„მოგითხრობთ თქვენს თანატოლებზე“, 12.15 — კონცერტი ბალაკირევის ნაწარმოებებიდან, 13.40 — სიმღერები საბჭოთა კინოფილმებიდან, 17.15 — საორკესტრო პიესები, 17.30 — გადაცემა მოსწავლეთათვის. რადიონარკვევი: „ნაკადულის“ 25 წლისთავი“, 18.10 — ნაწყვეტები მ. ბალანჩივაძის ოპერა „თამარ ცბიერიდან“, 18.45 — ესტონური სიმღერები, 19.30 — საუბარი: „ადამიანის სიცოცხლის განაგრძლივებისათვის ბრძოლა“, 19.45 — ლისტი. პრელუდია და ფუგა, 20.15 — სიმღერები დები იშხნელების შესრულებით. 20.30 — რადიოჟურნალი ქალებისათვის, 21.00 — გადაცემა ციკლიდან — „ლენინურ პრემიაზე წარდგენილი ნაწარმოებები და შემსრულებლები“ — ო. დიმიტრიადი, 22.00 — ლიტერატურული გადაცემა. ნ. პოგოდინი. „როგორ ემუშაობდი ლენინის სახის შექმნაზე“, 23.30 — მსუბუქი მუსიკა.

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ

12.00 — მხატვრული ფილმი „ქორწინების შემდეგ“, 18.00 — „დღეს ჩვენს პროგრამაშია“, 18.05 — ყველაზე პატარებისათვის — „ცეროდენას ეკონი“, 18.25 — უფროსკლასელთათვის — პედაგოგის საუბარი — „სასწავლო წელი მთავრდება“, 18.35 — კინონარკვევი, 19.15 — გადაცემა — „ნუცა ჩხეიძე“ (დაბადების 80 წლისთავის გამო), 19.35 — კინონარკვევი, 19.55 — გადაცემა — „სიტყვას საქმედ ვაქცევთ“, 20.25 — კინოჟურნალი, 20.35 — კონცერტი, 21.05 — კინონარკვევი, 21.40 — მხატვრული ფილმი — „მე ვიტყვი სიმართლეს“.

რედაქტორი

დ. მჰედლიშვილი.

ᲨᲔᲐᲛᲝᲬᲛᲔᲗ, ᲕᲘᲜ ᲠᲐ ᲛᲝᲠᲘᲒᲝ

ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲤᲣᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲜᲘᲕᲗᲔᲑᲘᲡ 1963 ᲬᲚᲘᲡ (ᲛᲔᲝᲠᲔ ᲒᲐᲛᲝᲨᲕᲔᲑᲘᲡ) ᲚᲐᲢᲐᲠᲘᲘᲡ ᲛᲝᲒᲔᲑᲐᲗᲐ ᲢᲘᲠᲐᲟᲘᲡᲐ. ᲛᲝᲒᲔᲑᲐᲗᲐ ᲢᲘᲠᲐᲟᲘ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ 1963 ᲬᲚᲘᲡ 30 ᲛᲐᲠᲢᲡ Ქ. ᲑᲐᲗᲣᲛᲨᲘ

ᲢᲘᲠᲐᲟᲨᲘ ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲓᲐ 186 ᲜᲘᲕᲗᲘᲡ ᲛᲝᲒᲔᲑᲐ ᲓᲐ 119.814 ᲤᲣᲚᲐᲓᲘ ᲛᲝᲒᲔᲑᲐ 225.000 ᲛᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲗᲐᲜᲮᲘᲡᲐ. ᲛᲝᲒᲔᲑᲐ ᲮᲓᲐ 1963 ᲬᲚᲘᲡ (ᲛᲔᲝᲠᲔ ᲒᲐᲛᲝᲨᲕᲔᲑᲘᲡ) ᲚᲐᲢᲐᲠᲘᲘᲡ ᲡᲔᲠᲘᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲘᲚᲔᲗᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲜᲝᲛᲠᲔᲑᲡ:

სერიის №	ბილეთის №	მოგებული ნივთის დასახელება ან ფულადი მოგების ოდენობა	მოგებული ნივთის ფულადი ღირებულება
03021	059*)	25 მანეთი	—
03076	457*)	ტელევიზორი „რეკორდი“	210
03089	367*)	სახვითი ხელოვნების ნაწარმოებები	30
03123	465*)	ტელევიზორი „რეკორდი“	210
03144	077*)	25 მანეთი	—
03156	430*)	მტვერსასრუტი „ჩაიკა“	42—50
03165	379*)	პიანინო	526—50
03171	333*)	50 მანეთი	—
03196	131*)	მაცივარი	200
03236	272*)	მაცივარი	200
03258	458*)	ელექტროსამართებელი „ხარკოვი“	22—50
03263	490*)	სახვითი ხელოვნების ნაწარმოებები	30
03287	295*)	ტელევიზორი „რეკორდი“	210
03304	1—500	5 მანეთი	—
03306	121*)	50 მანეთი	—
03311	134*)	ავტომანქანა „ზაპოროჟეცი“	1800
03328	310*)	25 მანეთი	—
03329	123*)	ტელევიზორი „რეკორდი“	210
03330	476*)	რადიოლა „ესტონია 2“	241—50
03342	407*)	პიანინო	526—50
03346	187*)	25 მანეთი	—
03363	130*)	პიანინო	526—50
03365	436*)	მაცივარი	200
03370	420*)	ტელევიზორი „რეკორდი“	210
03426	258*)	მხატვრული და სხვა ლიტერატურის წიგნების ბიბლიოთეკა	52
03430	385*)	ხელის საკერავი მანქანა	58—30
03444	1—500	3 მანეთი	—
03447	250*)	ფოტოაპარატი „კიევი—4“	125
03490	413*)	300 მანეთი	—
03500	1—500	10 მანეთი	—
03504	125*)	მაცივარი	200
03519	368*)	სახვითი ხელოვნების ნაწარმოებები	30
03520	408*)	მაცივარი	200
03521	424*)	ელექტროსამართებელი „ხარკოვი“	22—50
03529	158*)	პიანინო	526—50
03530	039*)	ხელის საკერავი მანქანა	58—30
03546	283*)	500 მანეთი	—
03551	029*)	ტელევიზორი „რეკორდი“	210
03558	432*)	რადიოლა „ესტონია—2“	241—50
03559	146*)	ავტომანქანა „მოსკვიჩი“	2.511—25
03561	1—500	5 მანეთი	—
03569	492*)	პიანინო	526—50
03574	1—500	5 მანეთი	—
03588	379*)	ავტომანქანა „ზაპოროჟეცი“	1800
03601	458*)	ხელის საკერავი მანქანა	58—30
03603	438*)	ავტომანქანა „მოსკვიჩი“	2.511—25
03607	038*)	25 მანეთი	—
03616	118*)	რადიოლა „ესტონია—2“	241—50
03624	243*)	ფოტოაპარატი „კიევი—4“	125
03636	004*)	ავტომანქანა „ვოლგა“	4.313—25
03637	428*)	ფოტოაპარატი „კიევი—4“	125
03656	128*)	100 მანეთი	—
03657	322*)	პიანინო	526—50
03660	028*)	ტელევიზორი „რეკორდი“	210
03681	319*)	სახვითი ხელოვნების ნაწარმოებები	30
03699	500*)	მხატვრული და სხვა ლიტერატურის ბიბლიოთეკა	52
03710	070*)	25 მანეთი	—
03719	166*)	ტელევიზორი „რეკორდი“	210
03728	230*)	სარეცხი მანქანა „ბათუმი“	90
03737	118*)	ელექტროსამართებელი „ხარკოვი“	22—50
03748	257*)	მაცივარი	200
03754	342*)	ელექტროსამართებელი „ხარკოვი“	22—50
03757	042*)	სარეცხი მანქანა „ბათუმი“	90
03776	443*)	300 მანეთი	—
03807	093*)	ხელის საკერავი მანქანა	58—30
03833	059*)	რადიოლა „ესტონია—2“	241—50
03903	434*)	რადიოლა „ესტონია—2“	241—50
03905	316*)	25 მანეთი	—
03936	090*)	პიანინო	526—50
03948	367*)	მაცივარი	200
03962	236*)	რადიოლა „ესტონია—2“	241—50
03984	394*)	25 მანეთი	—
03994	041*)	სარეცხი მანქანა „ბათუმი“	90
04006	479*)	მამაკაცის მაჯის საათი „პობედა“	22
04018	067*)	ტელევიზორი „რეკორდი“	210
04020	478*)	მხატვრული და სხვა ლიტერატურის ბიბლიოთეკა	52
04036	410*)	ტელევიზორი „რეკორდი“	210
04071	339*)	25 მანეთი	—
04081	024*)	50 მანეთი	—
04095	256*)	ავტომანქანა „ზაპოროჟეცი“	1.800
04104	187*)	მაცივარი	200
04124	378*)	ავტომანქანა „ზაპოროჟეცი“	1.800
04132	350*)	მაცივარი	200
04138	043*)	50 მანეთი	—
04141	037*)	სარეცხი მანქანა „ბათუმი“	90
04146	271*)	მაცივარი	200
04147	202*)	300 მანეთი	—
04148	469*)	მაცივარი	200
04165	199*)	პიანინო	526—50
04169	256*)	მაცივარი	200
04173	354*)	პიანინო	526—50
04184	484*)	ელექტროსამართებელი „ხარკოვი“	22—50
04186	350*)	ტელევიზორი „რეკორდი“	210
04193	209*)	ავტომანქანა „ზაპოროჟეცი“	1.800
04209	189*)	პიანინო	526—50
04216	356*)	ავტომანქანა „ზაპოროჟეცი“	1.800
04226	108*)	ხელის საკერავი მანქანა	58—30
04263	331*)	ფოტოაპარატი „კიევი—4“	125
04267	443*)	ელექტროსამართებელი „ხარკოვი“	22—50
04311	102*)	მაცივარი	200
04321	017*)	300 მანეთი	—
04365	500*)	მაცივარი	200
04367	235*)	ტელევიზორი „რეკორდი“	210
04384	166*)	მამაკაცის მაჯის საათი „პობედა“	22
04389	348*)	პიანინო	526—50
04390	449*)	ავტომანქანა „მოსკვიჩი“	2.511—25
04391	433*)	პიანინო	526—50
04407	096*)	მაცივარი	200
04438	290*)	რადიოლა „ესტონია—2“	241—50
04448	352*)	ავტომანქანა „ვოლგა“	4.313—25
04449	206*)	ავტომანქანა „მოსკვიჩი“	2.511—25
04460	050*)	სარეცხი მანქანა „ბათუმი“	90
04472	157*)	ელექტროსამართებელი „ხარკოვი“	22—50
04481	051*)	500 მანეთი	—
04482	309*)	500 მანეთი	—
04487	073*)	25 მანეთი	—
04512	272*)	სარეცხი მანქანა „ბათუმი“	90
04519	100*)	100 მანეთი	—
04531	207*)	სარეცხი მანქანა „ბათუმი“	90
04543	477*)	პიანინო	526—50
04547	279*)	ფოტოაპარატი „კიევი—4“	125
04554	072*)	ფოტოაპარატი „კიევი—4“	125
04555	100*)	ელექტროსამართებელი „ხარკოვი“	22—50
04563	110*)	ელექტროსამართებელი „ხარკოვი“	22—50
04566	455*)	ავტომანქანა „მოსკვიჩი“	2.511—25
04576	462*)	რადიოლა „ესტონია—2“	241—50
04579	207*)	მამაკაცის მაჯის საათი „პობედა“	22
04585	297*)	მაცივარი	200
04599	326*)	მამაკაცის მაჯის საათი „პობედა“	22
04605	009*)	მაცივარი	200
04610	011*)	ტელევიზორი „რეკორდი“	210
04628	109*)	ელექტროსამართებელი „ხარკოვი“	22—50
04660	291*)	რადიოლა „ესტონია—2“	241—50
04671	009*)	სარეცხი მანქანა „ბათუმი“	90
04674	485*)	50 მანეთი	—
04684	124*)	ფოტოაპარატი „კიევი—4“	125
04710	260*)	სახვითი ხელოვნების ნაწარმოებები	30
04729	193*)	სახვითი ხელოვნების ნაწარმოებები	30
04732	047*)	პიანინო	526—50
04745	325*)	ელექტროსამართებელი „ხარკოვი“	22—50
04746	016*)	პიანინო	526—50
04775	212*)	ფოტოაპარატი „კიევი—4“	125
04795	159*)	ელექტროსამართებელი „ხარკოვი“	22—50
04827	114*)	ტელევიზორი „რეკორდი“	210
04850	471*)	ელექტროსამართებელი „ხარკოვი“	22—50
04854	120*)	50 მანეთი	—
04866	015*)	სახვითი ხელოვნების ნაწარმოებები	30
04876	496*)	მაცივარი	200
04887	090*)	ტელევიზორი „რეკორდი“	210
04889	099*)	მამაკაცის მაჯის საათი „პობედა“	22
04892	068*)	ტელევიზორი „რეკორდი“	210
04915	437*)	50 მანეთი	—
04927	1—500	10 მანეთი	—
04933	401*)	25 მანეთი	—
04945	386*)	მხატვრული და სხვა ლიტერატურის ბიბლიოთეკა	52
04947	447*)	მტვერსასრუტი „ჩაიკა“	42—50
04966	255*)	მაცივარი	200
04989	100*)	100 მანეთი	—
04999	389*)	მაცივარი	200
05007	498*)	მაცივარი	200
05033	005*)	25 მანეთი	—
05034	047*)	მამაკაცის მაჯის საათი „პობედა“	22
05035	113*)	25 მანეთი	—
05042	116*)	ფოტოაპარატი „კიევი—4“	125
05043	424*)	მაცივარი	200
05047	191*)	50 მანეთი	—
05051	056*)	ფოტოაპარატი „კიევი—4“	125
05054	118*)	სახვითი ხელოვნების ნაწარმოებები	30
05059	109*)	სახვითი ხელოვნების ნაწარმოებები	30
05096	323*)	პიანინო	526—50
05117	170*)	ავტომანქანა „მოსკვიჩი“	2.511—25
05127	295*)	სახვითი ხელოვნების ნაწარმოებები	30
05142	209*)	ხელის საკერავი მანქანა	58—30
05148	474*)	რადიოლა „ესტონია—2“	241—50
05159	471*)	ელექტროსამართებელი „ხარკოვი“	22—50
05179	174*)	მაცივარი	200
05180	261*)	სარეცხი მანქანა „ბათუმი“	90
05184	067*)	სახვითი ხელოვნების ნაწარმოებები	30
05187	475*)	ხელის საკერავი მანქანა	58—30
05192	046*)	ფოტოაპარატი „კიევი—4“	125
05199	142*)	ტელევიზორი „რეკორდი“	210
05210	134*)	ავტომანქანა „ზაპოროჟეცი“	1.800
05211	295*)	რადიოლა „ესტონია—2“	241—50
05216	107*)	მხატვრული და სხვა ლიტერატურის ბიბლიოთეკა	52
05221	448*)	25 მანეთი	—
05226	278*)	100 მანეთი	—
05231	096*)	რადიოლა „ესტონია—2“	241—50
05259	191*)	ფოტოაპარატი „კიევი—4“	125
05296	152*)	25 მანეთი	—
05323	317*)	პიანინო	526—50
05345	303*)	საწოლი ოთახის გარნიტური	800
05363	033*)	ელექტროსამართებელი „ხარკოვი“	22—50
05365	393*)	ხელის საკერავი მანქანა	58—30